ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ორშაბათი, 4 დეკემბერი, 2017 №287 (7522) ფასი: 50 თეთრი



**გიგლა ბარამიძე: „ნინო ლომჯარია „ქართულ ოცნებას“ ემუქრებოდა და აშანტაჟებდა“** გვ.4

**30 ნოემბრიდან**

ჯემალ ჩახავა

**ქურდები და არიფები**




**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

# 51-ე სკოლის საპირფარეშოში იარაღის დამიზნება ხორავას ქუჩაზე მე-11 კლასის 2 მოსწავლის მკვლელობით დასრულდა

ექიმი თამუნა საგარეიშვილი: „დათო სარალიძემ შემომხედა და ერთი ამოილუღლუღა — „გადამარჩინეთ!“... ლევან დადუნაშვილი ისეთივე სიცოცხლესთან შეუთავსებელი ჭრილობებით იყო“



გვ.2



## გახარია: „დათო სარალიძის მკვლელობაში ბრალდებულსაც დავაკავებთ“



გვ.3

# მირზა სუბელიანი პროკურატურიდან მიდის



ზვიად კუპრავა: „ტრაგედიის მონაწილის მამა პროკურატურის თანამშრომელი მირზა სუბელიანია“



## სოლიდარობის აქცია 51-ე სკოლასთან



გვ.3

**რამაზ საყვარელიძე: „ბავშვებში ძალადობა განათლების დაბალი დონის ბრალია“** გვ.5

## სამართალი

**ბადრი ბერიშვილი ყოფილ ცოლს 80.000 დოლარს სთხოვდა** გვ.7



**ახალციხეში „ქართული ოცნების“ დეპუტატის მანქანასთან აფეთქება მოხდა** გვ.7



**ქრთამის აღების ფაქტზე ფოთის მერიის თანამშრომელი დააკავეს** გვ.10



**იმერეთში ბმვ-ს მგზავრებს 5-მა კაცმა 140.000 დოლარი წაართვა** გვ.7

## ეკონომიკა



**ვინ არის ბიზნესმენი გელა ბარკალაია, რომელსაც 6 წლით პატიმრობა მიესაჯა** გვ.6



**გაზგასამართ სადგურებზე მოსაცდელები დამონტაჟდება**



**„ჩვენი მთავრობები ისე იქცევიან, როგორც უპასუხისმგებლო იპოთეკარები“**

ISSN 1987-9385

**8** შესაძლებელია თუ არა რუსეთისათვის სანქციების მოხსნა?

**3** ვახტანგ ძაბირაძე: „ქართულ ოცნებაში“ გადაჯგუფების პროცესია, რაც შეიძლება განხეთქილებით დასრულდეს“

**4** სააკაშვილი პოროშენკოს ბლოკირებით ემუქრება

**5** გარემოს დაცვის კონტროლის სისტემა მთლიანად მოშლილია

# 51-ე სკოლის საპირფარეშოში იარაღის დამიზნება ხორავას ქუჩაზე მე-11 კლასის 2 მოსწავლის მკვლელობით დასრულდა




## ექიმი თამუნა საგარეიშვილი: „დათო სარალიძემ შემომხედა და ერთი ამოილუღლუღა – „გადამარჩინეთ!“... ლევან დადუნაშვილი ისეთივე სიცოცხლესთან შეუთავსებელი ჭრილობებით იყო“

### ზვიად კუპრავა: „ტრაგედიის მონაწილის მამა პროკურატურის თანამშრომელი მირზა სუბელიანია“





## მირზა სუბელიანი პროკურატურიდან მიდის

1 დეკემბერს თბილისში ხორავას ქუჩაზე უფროსკლასელ მოსწავლეთა შორის მასობრივი ჩხუბი მოხდა.

ჩხუბის შედეგად დაჭრილი, 51-ე სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე ლევან დადუნაშვილი, საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

მეორე დაჭრილი, ამავე სკოლის მე-11 კლასელი დათო სალარიძე რესპუბლიკურ საავადმყოფოში მიიყვანეს, სადაც მისი სიცოცხლისთვის ექიმები თითქმის მთელი დღე-ღამის განმავლობაში იბრძოდნენ, მაგრამ ჭრილობები სიცოცხლესთან შეუთავსებელი აღმოჩნდა. დათო სალარიძე 2 დეკემბერს გარდაიცვალა.

❖ ❖ ❖

ტრაგედიის ერთ-ერთი პირველი მოწმე ნიკა ვაჩეიშვილი აღმოჩნდა, რომელიც პოლიციამ 1 დეკემბერს დაკითხა.

მედიასთან საუბარში ნიკა ვაჩეიშვილმა აღნიშნა, რომ ტრაგედია შუადღისას მოხდა და ის მას შემთხვევით შეესწრო.

– ეს ჰგავდა რაღაცნაირად ამ ბავშვების წინასწარ დაგეგმილ შეხვედრას. დაახლოებით, თხუთმეტნი იყვნენ, შეიძლება ცოტა მეტიც. ეზოში უცბად ხმაური დაიწყო. გადავიხედეთ ეზოში. ჩემმა ოჯახის წევრებმა და მეზობლებმა დავიწყეთ ყვირილი, რომ ახლა პატრული მოვა-თქო, როგორღაც რომ დაგვეშოშმინებინა და შეგვეშინებინა ისინი, მაგრამ ამ ბავშვებს არაფერი ესმოდათ, ისე იყვნენ ჩართულები ამ ხელჩართულ ომში. შემდეგ დავინახეთ სისხლი. გარდაცვლილი ბიჭი ჯერ კიდევ ფეხზე იდგა, თვითონაც უკვირდა, რომ ასეთი ჭრილობა ჰქონდა მუხლის არეში.

ჩავირბინეთ ეზოში, შემდეგ პატრულიც გამოჩნდა, ხალხი შერბოდა ქუჩიდან, სასწრაფოც, როგორც იქნა, მოვიდა. მოკლედ, რაღაც ვერ არის კარგად, რადგან ასეთი რაღაცები არ უნდა ხდებოდეს, – განაცხადა ნიკა ვაჩეიშვილმა.

2 დეკემბერს ფეისბუქზე დაიდო სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ექიმ თამუნა საგარეიშვილის პოსტი. ის ხორავას ქუჩაზე მომხდარი ტრაგედიის დროს შემთხვევის ადგილზე იყო გამოძახებული.

აი, როგორ იხსენებს ექიმი ამ ტრაგედიას:

„გუშინ, ჩემს კუთვნილ მორიგეობაზე შემოვიდა მისამართი:

– ხორავას ქუჩაზე, ცივი იარაღით დაჭრილი მოზარდები არიან, პანიკური ზარია, იჩქარეთ!

ჩვენ, რა თქმა უნდა, არ დავყოვნდით, მისამართის მიღებიდან 5 წუთში აღნიშნულ მისამართზე მივედით.

ზღვა ხალხი დაგვხვდა ადგილზე, მივხვდი, რომ საქმე კარგად არ იყო. შევედით ეზოში და აი ისიც, დათო სარალიძე, თავისივე სისხლის გუბეში ჩაწოლილი, კანი ცივი, ფერმკრთალი, ღრმად დაბინდული ცნობიერებით. მისი ჭრილობები იყო სიცოცხლესთან შეუთავსებელი. ვხვდებოდი, რომ მისი გადარჩენა რთული, თითქმის შეუძლებელი იქნებოდა.

მან შემომხედა და ერთი ამოილუღლუღა – „გადამარჩინეთ!“

ელვისებური სისწრაფით გავუწიეთ პირველადი სამედიცინო დახმარება. ღმერთს ვევედრებოდი, გული არ გაეჩერებინა მისთვის და დედისთვის შვილი არ წაერთვა. დავითს კი ვთხოვდით, თვალები არ დაეხუჭა და ებრძოლა სიცოცხლისათვის. ჩაძახილზე, თუ როგორ ესმოდა ჩვენი, ის თითების ჟესტით გვანიშნებდა, რომ მას ჩვენი ესმოდა.

სტაციონარის ეზოში შესვლისას თვალები დახუჭა, სუნთქვას აჩერებდა. სასწრაფოდ შევიყვანეთ კლინიკაში და იქვე გული გააჩერა. მთელი კლინიკის ექიმები მობილიზებულები იყვნენ, ჩაუტარდა გულ-ფილტვის რეანიმაცია და გულის რითმი მალევე აღდგა. მაშინვე საოპერაციო ბლოკში შეიყვანეს.

ის სიცოცხლისათვის 23 საათი იბრძოდა. მიუხედავად ყველაფრისა, მისი გადარჩენა, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა.

არასოდეს დამავიწყდება ეს დღე, როდესაც მისი წყლიანი, უმწეო თვალები დახმარებას გვთხოვდა.

ლევან დადუნაშვილი მე არ მინახავს, მას სხვა ბრიგადა ემსახურებოდა, ისეთივე უმწეო, ისეთივე სიცოცხლესთან შეუთავსებელი ჭრილობებით იყო, როგორიც დათოსი, ის კლინიკაში მისვლამდე, სასწრაფოს მანქანაში გარდაიცვალა.“

❖ ❖ ❖

51-ე სკოლის დირექტორი მანანა თურქაძე 1 დეკემბრის გაკვეთილების დამთავრებას ასე იხსენებს:



– ამ ბავშვებს შორის გინებაც კი არ ყოფილა. ორი ბავშვი რომ ერთად დადგება, ჩვენ სკოლაში იმ წუთას რეაქცია გვაქვს, მშობელს ვიბარებთ, ყველაფერს ერთად ვარკვევთ. ბოლოს სპორტის გაკვეთილი ჰქონდა დავითს, მასწავლებელს ეთამაშა, სპორტის პედაგოგმა გამოაცილა. დადუნაშვილი კი თავის კლასელ გოგონასთან ერთად გამოვიდა. არანაირი სერიოზული მოტივი არ ყოფილა, ეს იყო რაღაც გაუგებრობა.

სკოლის დირექტორის მოადგილე კი ამბობს, რომ მან სკოლასთან უცხო ბავშვები შენიშნა, თუმცა მათ შორის არანაირი კონფლიქტი არ ყოფილა.

– დავინახე, რომ უცხო ბავშვები, სავარაუდოდ, სკოლის მოსწავლეები წამოვიდნენ, ჩვენს ბავშვებს შეუერთდნენ, ოლონდ არავითარი დაძაბულობა და წავიდნენ ბაქრაძის ქუჩისკენ. მიუხედავად იმისა, რომ მე არანაირი ეჭვი, საფუძველი არ მქონდა, რომ განგაში ამეტეხა, მანდატურს დავურეკე, – განაცხადა თინათინ ყენიამ.

❖ ❖ ❖

თბილისის პროკურატურამ მომხდარ საქმეზე 2 არასრულწლოვანი პასუხისგებაში მისცა.

„თბილისის პროკურატურამ ქ.თბილისის 51-ე საჯარო სკოლასთან მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ განზრახ მკვლელობის შესაძლო ფაქტზე ორი არასრულწლოვანი პირი – გ.ბ და გ.ჯ სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისცა. გ.ბ-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარედგინა, ხოლო გ.ჯ იმავე მუხლით ბრალდებულად დაუსწრებლად იქნა ცნობილი, ვინაიდან იგი ემალება გამოძიებას,“ – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

გამოძიებით დადგინდა, რომ 2017 წლის 1 დეკემბერს, დილის საათებში, ქ.თბილისის N51-ე საჯარო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლეებს თ.ჩ.-ს და ა.ს-ს გაკვეთილებს შორის არსებულ შესვენებაზე, საპირფარეშოში 6 უფროსკლასელი დახვდათ, რომელთაგან ერთ-ერთმა მათ პნევმატური იარაღი მიუშვირა, რასაც ამ უკანასკნელების უკმაყოფილება მოჰყვა, რაც გადაიზარდა სიტყვიერ დაპირისპირებაში.

ერთ-ერთმა უფროსკლასელმა მათ უთხრა, რომ გაკვეთილების შემდეგ ორივეს სკოლის გარეთ შეხვდებოდნენ. მომხდარიდან მალევე ა.ს.-მ, ვინაიდან მასთან კონფლიქტში მყოფები იყვნენ მასზე ასაკით უფროსები, დახმარებისთვის არასრულწლოვან ნათესავს – მ.კ.-ს დაურეკა და მომხდარის შესახებ უამბო.

იმავე დღეს, დაახლოებით 14:00 საათზე, მ.კ. მეგობრებთან ერთად N51-ე საჯარო სკოლასთან მივიდა, სადაც მათ ა.ს. და თ.ჩ. შეუერთდნენ. სკოლასთან ასევე შეკრებილები იყვნენ თ.ჩ.-სთან და ა.ს-სთან დაპირისპირებული მეთერთმეტე კლასელები და მათი თხუთმეტამდე მხარდამჭერი.

ვითარების გასარკვევად ახალგაზრდებმა ა.ხორავას ქუჩაზე არსებულ ერთ-ერთი კორპუსის ეზოში გადაინაცვლეს. მოზარდებს შორის საუბარი სიტყვიერ შელაპარაკებაში გადაიზარდა, რასაც ფიზიკური დაპირისპირება მოჰყვა.

ჩხუბის დროს ერთ-ერთმა მონაწილემ გ.ჯ.-მ, რომელსაც გაცნობიერებული ჰქონდა, რომ კონფლიქტის მონაწილეები არასრულწლოვნები იყვნენ, დანით განზრახ მოკვლის მიზნით, არასრულწლოვან დ.ს.-ს მრავალრიცხოვანი ნაკვეთი ჭრილობა მიაყენა, ხოლო გ.ბ.-მ ასევე დანით განზრახ მოკვლის მიზნით, წინასწარი შეცნობით არასრულწლოვან ლ.დ.-ს ორი ნაკვეთი ჭრილობა ფეხისა და გულმკერდის არეში მიაყენა, შემდეგ კი ორივე ბრალდებული შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

მიყენებული ჭრილობების შედეგად ლ.დ. საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა, ხოლო დ.ს. მეორე დღეს საავადმყოფოში გაწეული სამედიცინო დახმარების მიუხედავად გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა არასრულწლოვანი გ.ბ. 2017 წლის 2 დეკემბერს თბილისში დააკავეს. მას ბრალდება 2017 წლის 3 დეკემბერს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ) წარედგინა.

2017 წლის 3 დეკემბერს, არასრულწლოვან გ.ჯ.-ს მიმართ იმავე კვალიფიკაციით გამოტანილია დადგენილება ბრალდების შესახებ და მიმდინარეობს ბრალის წარდგენის შესაბამისი სამართლებრივი პროცედურები.

ვინაიდან იგი ემალება გამოძიებას, მისი დაკავების მიზნით მიმდინარეობს შესაბამისი ღონისძიებები.

პროკურატურა ორივე ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით მოითხოვს პატიმრობის გამოყენებას. იმ შემთხვევაში, თუ მანამდე ვერ მოხერხდება არასრულწლოვან გ.ჯ.-ს დაკავება, მის მიმართ გამოცხადდება ძებნა.

პროკურატურა აცხადებს, რომ ბრალდებულებისთვის ბრალად შერაცხული შესაძლო დანაშაულის ჩადენის ფაქტი დასტურდება ინციდენტში მონაწილე არაერთი მოწმის ჩვენებით, ასევე ნივთიერი მტკიცებულებებით, მათ შორის მკვლელობების იარაღებით, რომლებზეც დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები.

კერძოდ, დ.ს.-ს მკვლელობის იარაღი დანა ამოღებულია შემთხვევის ადგილიდან, ხოლო ლ.დ.-ს მკვლელობის იარაღი, ასევე დანა გამოძიებას წარმოუდგინა ინციდენტში მონაწილე მოწმემ, რომელსაც გადამალვის მიზნით გადასცა დაკავებულმა ბრალდებულმა გ.ბ-მ.

საქმეზე გრძელდება გამოძიება, სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახედ და ზომად 13-დან 17 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ვახტანგ ძაბირაძე: „ქართულ ოცნებაში“ გადაჯგუფების პროცესია, რაც შეიძლება განხეთქილებით დასრულდეს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ქართული ოცნების“ შიგნით მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო ვახტანგ, მთავრობის სტრუქტურულ ცვლილებებთან დაკავშირებით უმრავლესობის შიგნით პოზიციები ერთგვაროვანი არ არის. მაგალითად, გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის სამინისტროს გაუქმებას აპროტესტებენ „ქართული ოცნების“ დეპუტატები. რამდენად ღრმა შეიძლება იყოს ეს დაპირისპირება?***

– ეს სტრუქტურული ცვლილებები თავისთავად უაღრესად საინტერესოა. საქართველოს მართლაც არ სჭირდება ასეთი დიდი მთავრობა. მთავარი ის კი არ არის, რომელი სამინისტრო რომელს შეუერთდება, მთავარი არის ის, რომ ამ ცვლილებებს ძლიერი არგუმენტაცია სჭირდება. ორი საკითხია მნიშვნელოვანი: ამ ცვლილებებით იქნება თუ არა დანაზოგი და ამ ცვლილებების შემდეგ რატომ იქნება მთავრობა უფრო მობილური. ჯერ არც ერთი და არც მეორე საკითხი არგუმენტირებული არ არის. ჯერ მხოლოდ ტექნიკურ დონეზე გვაქვს ინფორმაცია, ეს სამინისტრო უქმდება, ეს სამინისტრო კი ამას უერთდება.

ენერგეტიკის სამინისტროს გაუქმებაზე თუ შეერთებაზე წინააღმდეგობა რომ იქნებოდა, ეს ბუნებრივია. ენერგომატარებლების საკითხი, ენერგეტიკა საქართველოში ყოველთვის იყო დახურული სივრცე. ეს სივრცე დღემდე დახურულად რჩება. არველაძე, რომელიც წლების განმავლობაში იყო ამ სფეროში წამყვანი პირი, ცხადია, შეეცდება ლობირება გაუწიოს ამ სფეროს და კვლავ დახურულად დარჩეს ეს სფერო.

მეორე სამინისტრო არის გარემოს დაცვის სამინისტრო, აქ პრობლემა მხოლოდ გარემოს დაცვა კი არ არის, პრობლემა არის რესურსები. როგორც ენერგეტიკას, რესურსებსაც გარკვეული ჯგუფი ყოველთვის ლობირებდა. სადაც ფინანსები, ბიზნესინტერესებია, იქ ყოველთვის იქნება განსხვავებული აზრები. რატომ არავინ გააპროტესტა სპორტისა და კულტურის სამინისტროს გაერთიანება?!

ჯერ კიდევ 1993 წელს გვქონდა მცდელობა, რომ მცირე მთავრობა გვქონოდა და მაშინ პარლამენტში შევიტანეთ კონცეფცია, სადაც 12 სამინისტრო იყო მოაზრებული. თქვენ წარმოიდგინეთ, მაშინაც ამ სამინისტროებზე წავაწყდით წინააღმდეგობას. მაშინაც ბიზნესინტერესებს ლობირებდნენ, ახლაც იგივე მეორდება.

***– არადა სოციალურ ქსელებში პოლიტიკურ თავისუფლებაზე, დამოუკიდებლობაზე კეთდებოდა აქცენტი. მაინც ეს უფრო არის ბიზნესინტერესების ლობირება თუ ლიდერებისგან განსხვავებულ პოზიციებს აფიქსირებენ დეპუტატები?***

– ერთი შემიძლია გითხრათ: როდესაც სუსის შერწყმაზე არის საუბარი, აქ შეიძლება სხვაგვარად წავიკითხოთ, აქ შეიძლება მართლაც იყოს ხიფათები. იმ სამინისტროებზე, რომელზეც მოგახსენეთ, ვფიქრობ, რომ წამყვანი ბიზნესინტერესებია.

***– სტრუქტურული ცვლილებები შეიძლება მხოლოდ ამით შემოიფარგლოს თუ წლის ბოლოს, როგორც თავის დროზე ღარიბაშვილი გადადგა, ასევე გადადგეს კვირიკაშვილი?***

– გამორიცხვით არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება. საკმაოდ მოულოდნელი გადაწყვეტილებების მომსწრენი ვართ ხელისუფლებაში, მაგრამ ამ ეტაპზე არა მგონია ასეთი ცვლილება მოხდეს. ადგილობრივი არჩევნების შემდეგ, ალბათ ერთი წელი მაინც არის საჭირო, რომ გარკვეული სპექტრი დალაგდეს. შემდეგ ალბათ უფრო იქნება მოსალოდნელი. თუმცა, ვინ იქნება ხელისუფლებიდან საპრეზიდენტო კანდიდატი, ეს საკითხი შეიძლება უფრო აქტუალური გახდეს საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად.

ერთი, რაც აშკარად ჩანს, არის ის, რომ „ქართულ ოცნებაში“ ახალი გადანაწილება, გადაჯგუფება ხდება. როდესაც კოალიციები მოდიან ხელისუფლებაში, მერე იწყება ამ კოალიციის დაშლა. ასე იყო ნაციონალური მოძრაობის დროს, ასე იყო 1992-95 წლებში, „მოქალაქეთა კავშირის“ დროს, იგივე მოხდა ახლაც. პროცესი იდენტურია, თუმცა ფაქტორები განსხვავებული იყო.

მართალია არჩევნებზე „ქართული ოცნება“, როგორც პარტია, ცალკე გამოვიდა ბლოკის გარეშე, მაგრამ ის მაინც არ იყო ერთგვაროვანი. არც დღეს არ არის ერთგვაროვანი. მე ვგულისხმობ შემადგენლობას არა ასაკობრივი სხვაობის კუთხით, არამედ მიდგომების, დამოკიდებულებების, პოზიციების კუთხით. „ქართული ოცნება“ ერთი პარტიაა, მაგრამ ძალიან ჭრელია. ქართული პოლიტიკური სივრცე კი ასეთ ფენომენს დიდხანს ვერ უძლებს, ამიტომ ახლა „ქართულ ოცნებაში“ მიდის გადაჯგუფების პროცესი და ყალიბდება ახალი, უფრო ერთგვაროვანი მასა, რამაც შეიძლება გუნდის შიგნით განხეთქილებამდე მიგვიყვანოს.

***– ვისა და ვის შორის, რა ჯგუფები გაიყოფიან?***

– ჯერ ეს გამოკვეთილად არ ჩანს. ორი ვარიანტია: ერთი, შეიძლება მთელმა ამ აურზაურმა, გაყოფის პროცესმა, ძალიან მშვიდად და ბუნებრივად ჩაიაროს და 2020 წლისთვის გარკვეული ნაწილი საერთოდ ჩამოშორდეს პოლიტიკურ საქმიანობას და მეორე, 2020 წლის არჩევნების მიჯნაზე მოხდეს განხეთქილება და ორი მსხვილი ჯგუფი ჩამოყალიბდეს დიდი ხმაურის ფონზე.

არჩევნების წინ, ჩვენ ვნახეთ, როგორ მოხდა პარტიისგან გარკვეული პირების ჩამოშორება, როგორ აღმოჩნდნენ ისინი გუნდის გარეთ, მაგრამ ესენი იყვნენ ინდივიდები, ახლა მოხდება არა ინდივიდების ჩამოშორება, არამედ მოხდება ორი მიმართულებით კონცენტრირება. მოხდება



ორ მსხვილ ჯგუფად გაყოფა, ამ შემთხვევაში კი ასე მარტივად არ იქნება საქმე.

მე არ გამოვრიცხავ, რომ პროცესები „ქართულ ოცნებაში“ და ზოგადად ქართულ პოლიტიკაში იმ ანალოგიით განვითარდეს, როგორც ეს მოხდა 2001-2003 წლებში „მოქალაქეთა კავშირში“.

***– კონკრეტულად რას გულისხმობთ?***

– დღეს ოპოზიციურ ფლანგზე ჯერჯერობით, ყოველ შემთხვევაში, ხელისუფლების საპირწონე არ ჩანს. შესაძლოა ასეთი საპირწონე შეიქმნას, მაგრამ თუ კრიზისი გაგრძელდა ოპოზიციურ ფლანგზე, მაშინ ძალიან დიდი ალბათობაა, რომ სწორედ „ქართული ოცნების“ წიაღშივე ჩამოყალიბდეს ოპოზიცია, წარმოიშვას ოპოზიციური ფრთა, ისევე, როგორც ეს თავის დროზე მოხდა „მოქალაქეთა კავშირში“ ნაციონალური მოძრაობის წარმოშობით. ამას, ნამდვილად არ გამოვრიცხავ.

# 51-ე სკოლის საპირფარეშოში იარაღის დამიზნება ხორავას ქუჩაზე მე-11 კლასის 2 მოსწავლის მკვლელობით დასრულდა

დასაწყისი მე-2 გვერდზე

საქმეზე გამოძიებას აწარმოებს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტი.

❖ ❖ ❖

მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ინციდენტის ერთ-ერთი აქტიური მონაწილის, ა.ს.-ს მამა პროკურატურის თანამშრომელია.

ზვიად კუპრავამ ფეისბუქზე თანამშრომლის ვინაობა დაწერა – მირზა სუბელიანი და ასეთი პოსტი გამოაქვეყნა:

„1) ფაქტია, რომ პროკურატურის მაღალ ჩინოსნის შვილმა დანაშაული დამალა.

2) ა. ს.– მ საკუთარ მამას, პროკურატურის მაღალჩინოსანს მირზა სუბელიანს, წინასწარი შეცნობით არ დაურეკა.

არაფერი უთხრა მანდატურს.

სკოლის ინციდენტი დამალა და ბოლოს ამ ყველაფრის სანაცვლო დაურეკა მის დანებით შეიარაღებულ დეიდაშვილს და თანასკოლელები რაზბორკაზე დააბარებინა.

3) მკვლელობის ადგილზე იმყოფებოდა თავად მირზა სუბელიანის შვილი ა. ს. და ის თანამონაწილეა დანაშაულის.“

თავად პროკურატურამ დაადასტურა, რომ ა.ს.-ს მშობელი პროკურატურის თანამშრომელია.

– აღნიშნულ ინციდენტში მონაწილე ა.ს.-ს მშობელი მართლაც არის პროკურატურის მუშაკი, თუმცა იგი 2014 წლიდან მუშაობს ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტში და მას დაკავებული თანამდებობიდან გამომდინარე, არც აღნიშნულ გამოძიებასთან და არც სხვა რომელიმე გამოძიებასთან, არანაირი შემხებლობა არ აქვს და არც შეიძლება რომ ჰქონდეს, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

ამავე განცხადებაში მითითებულია, რომ არასწორია მედიაში გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შესაძლო მკვლელობის ჩამდენი ერთ-ერთი არასრულწლოვანის მშობელი პროკურატურის თანამშრომელია და ამით ხელი ეშლება გამოძიებას.

– აღნიშნულ საქმეზე არასრულწლოვანი ბრალდებულების გ.ჯ.-ს და გ.ბ.-ს არც ერთი ოჯახის წევრი ანდა ახლო ნათესავი არ არის პროკურატუ-




რის მუშაკი. ნებისმიერი დანაშაულის ჩამდენი პირის ნათესაური კავშირი პროკურატურის მუშაკთან ვერც ერთ საქმეზე ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს მიმდინარე გამოძიებაზე და მსგავსი პრეცედენტი არ არსებობს.

ასევე სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და პროკურატურის შიდა ნორმატიული აქტების შესაბამისად, ნებისმიერი პროკურორი, რომლის მიმართაც შესაძლებელია არსებობდეს თუნდაც კითხვები გარკვეული პირადი მოტივების გათვალისწინებით შესაძლო მიკერძოებულობაზე, დაუყონებლივ იქნება აცილებული სისხლის სამართლის საქმიდან, – აღნიშნულია პროკურატურის განცხადებაში.

❖ ❖ ❖

გუშინ, გვიან საღამოს, პროკურატურის თანამშრომელმა მირზა სუბელიანმა პროკურატურიდან წასვლის შესახებ განცხადება გააკეთა.

– პირველ რიგში მინდა უდიდესი მწუხარება გამოვთქვა დატრიალებული ტრაგედიის, ორი მოზარდის გარდაცვალების გამო და სამძიმარი ვუთხრა მათ მშობლებსა და მეგობრებს.

გამაოგნებელი და უაღრესად შემაშფოთებელია ახალგაზრდებს შორის მსგავსი დაპირისპირება და ის ტრაგიკული შედეგი, რამაც მთელი საზოგადოება და მათ შორის მეც შოკში ჩაგვაგდო.

ჩემდა სამწუხაროდ, ამ უმძიმეს შემთხვევას ადამიანების გარკვეულმა ჯგუფებმა ჩემი სახელი და გვარი დაუკავშირეს, შეგნებულად დაამახინჯეს ფაქტები და საზოგადოებას მიაწოდეს მცდარი ინფორმაცია.

მინდა ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად განვმარტო, რომ ჩემს შვილთან ერთად, რომელიც ნამდვილად იყო შემსწრე მომხდარი უბედურების, პირველ დეკემბერსვე გამოვცხადდი პოლიციის სამმართველოში, ჩემმა შვილმა გამომძიებლებს მისცა ამომწურავი ჩვენება და თანამშრომლობს გამოძიებასთან.

იმის მიუხედავად, რომ ჩემი შვილი ამ საქმეში მოწმეა, რადგან არ მინდა ჩრდილი მიადგეს გამოძიების ობიექტურობას, რაც, უპირველეს ყოვლისა, ჩემი ოჯახის ინტერესებშია, მე მივმართავ საქართველოს მთავარ პროკურორს განცხადებით სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ. იმედი მაქვს, რომ ამ გადაწყვეტილების შემდეგ მაინც დაასრულებენ სპეკულაციებს და საგამოძიებო ორგანოს ნორმალურ გარემოში ექნება შესაძლებლობა, დაადგინოს ჭეშმარიტება.

დარწმუნებული ვარ, რომ სიმართლე ძალიან მალე დადგინდება და გამოძიება ყველა კითხვას გასცემს ამომწურავ პასუხს, – ნათქვამია მირზა სუბელიანის განცხადებაში.

❖ ❖ ❖

გახარია: „დათო სარალიძის მკვლელობაში ბრალდებულსაც დავაკავებთ“

გუშინ საღამოს ხორავას ქუჩაზე მომხდარ ტრაგედიას შს მინისტრი გიორგი გახარიაც გამოეხმაურა.

– სამწუხაროდ, 1 დეკემბერს,



ხორავას ქუჩაზე ნომერ 4-ში შეიკრიბნენ 51-ე სკოლის მე-11 კლასელები. მათთან ერთად იმყოფებოდა ამავე სკოლის მერვეკლასელი არასრულწლოვანი, რომელთა შორისაც კონფლიქტი მოხდა. ამ კონფლიქტში, არასრულწლოვანი მერვეკლასელის თხოვნით, ჩაერთნენ თბილისის პირველი ექსპერიმენტალური სკოლის მოსწავლეები. სიტყვიერი დაპირისპირება მათ შორის ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა, რის შედეგადაც 2001 წელს დაბადებული არასრულწლოვანი, მრავლობითი ჭრილობების მიყენების შედეგად საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

დადგენილია ამ ფაქტის ჩამდენი და წაყენებული აქვს ბრალი და მიმდინარეობს გამოძიება. მეორე ბრალდებული ასევე იდენტიფიცირებულია, მაგრამ ჯერ დაკავებული არ არის და მიმდინარეობს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები. და ასევე დავით სარალიძის მკვლელობაში ბრალდებულიც იქნება დაკავებული, – განაცხადა მინისტრმა.

მან ხაზი გაუსვა, რომ მთელი ღამის განმავლობაში სამართალდამცავმა ორგანოებმა დაკითხეს დაახლოებით 150 პირი – არასრულწლოვნების მშობლები, მათი ოჯახის წევრები, ასევე მათი კანონიერი წარმომადგენლები, მაგრამ გამოძიებასთან თანამშრომლობის სურვილი მცირე რაოდენობის ხალხმა გამოთქვა.

– ეს არის ძალზე სერიოზული პრობლემა და, როგორც ჩანს, ჩვენს საზოგადოებაში დანაშაულის აღქმა ჯერ კიდევ არ არის სწორი, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

## სოლიდარობის აქცია 51-ე სკოლასთან



გუშინ საღამოს თბილისის 51-ე საჯარო სკოლასთან სოლიდარობისა და მხარდაჭერის აქცია გაიმართა.

შეკრების მთავარი მიზანი მოკლული მოსწავლეების ოჯახებისადმი სოლიდარობის გამოცხადება და გამოძიების პროცესისადმი ჯანსაღი ინტერესის გამოხატვა იყო.

სკოლის მიმდებარე ტერიტორია მოქალაქეებმა ანთებული სანთლებითა და ყვავილებით შეამკეს.

დღეს, 4 დეკემბერს, კიდევ ერთი აქციაა დაგეგმილი 51-ე სკოლასთან – ახალგაზრდები მდუმარე აქციით გააპროტესტებენ მომხდარს.

# „ნინო ლომჯარია „ქართულ ოცნებას“ ემუქრებოდა და აშანტაჟებდა“

## ვინ გახდება დეკრიმინალიზებული მარიხუანის დისტრიბუტორი საქართველოში

შორენა მარსაგიშვილი

ვინ არის პასუხისმგებელი ხორავას ქუჩაზე მომხდარ ტრაგედიაზე, რატომ უნდა დაისაჯონ სკოლის დირექტორები, რატომ არ ხდება მოსახლეობისგან იარაღის ამოღება, რა შედეგს მოიტანს მარიხუანის ლეგალიზება, რით დააშანტაჟა ნინო ლომჯარიამ „ქართული ოცნება“? — ამ თემებზე „ახალ თაობას“ ყოფილი პოლიტდევნილი გიგლა ბარამიძე ესაუბრება.

**გიგლა ბარამიძე:**

— „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ვთქვი, რომ თბილისი იარაღით და ნარკოტიკებით არის გაძეძგილი. იარაღი აქვს თითქმის ყველას, როგორც ცივი, ასევე ცეცხლსასროლი. ხელისუფლება ამ პრობლემის გადაჭრას არ ჩქარობს. ამის შედეგებს კი მწარედ ვიმკით. თბილისში, ხორავას ქუჩაზე მომხდარი ტრაგედიაც ამის დასტურია.

ეს ტრაგედია კარგად ასახავს იმ მდგომარეობას, რაც დღეს განათლების სამინისტროშია. განათლების მინისტრად ყავდათ ადამიანი, რომელიც ათას სისულელეებს ბოდავდა და არაფერს აკეთებდა განათლების რეფორმის გასატარებლად.

სასწრაფოდ უნდა დაატოვებინონ თანამდებობა სკოლების დირექტორებს. ამ ტრაგედიაზე ისინიც არიან პასუხისმგებელი. პასუხი უნდა აგონ მასწავლებლებმა და მანდატურმაც. აშკარაა, რომ მოზარდებს შორის კონფლიქტი კარგა ხნის წინ იყო დაწყებული.

სკოლის დირექტორი კი რას ამბობს, ეს ყველაფერი სკოლის გარეთ მოხდა და ჩვენ რა შუაში ვართო. ამ განცხადების შემდეგ, ამ ადამიანს სასწრაფოდ უნდა დაატოვებინონ თანამდებობა. ასევე უნდა შეიცვალოს ყველა ის დირექტორი, რომელიც სკოლაში წესრიგს ვერ ამყარებს. სამწუხაროდ, ეს სიტუაცია კიდევ უფრო გართულდება.

***— რატომ გგონიათ, რომ სიტუაცია კიდევ უფრო გართულდება?***

— იმიტომ, რომ მოსახლეობისგან იარაღის ამოღებაზე არავინ არ ზრუნავს. ამ ყველაფერს დაემატა საკონსტიტუციო სასამართლოს სამარცხვინო გადაწყვეტილება. მათი გადაწყვეტილებით მარიხუანის დეკრიმინალიზაცია მოხდა. ეს გააკეთეს იმ ქვეყანაში, რომლის ტერიტორიებიც ოკუპირებულია, რომლის საზღვარიც ნელ-ნელა აქეთ იწევს და რომლის დემოგრაფიული მდგომარეობა ყოველდღიურად უარესდება.

ვიღაც მეტყვის, რომ მარიხუანა არ არის ძლიერი ნარკოტიკი. ხვალ ვიღაცამ რომ კოკაინის და ჰეროინის დეკრიმინალიზაცია მოითხოვოს, მერე რა ხდება? რა ხდება და დარწმუნებული ვარ, ამასაც დაუშვებენ.

თავს იმით იმართლებენ, რომ მარიხუანის მოყვანა და რეალიზება დასჯადი იქნება. თუ მოყვანა და რეალიზება დასჯადია, მაშინ მისი მოხმარება როგორ დაუშვით? რადგან მარიხუანას დეკრიმინალიზაციას დაუჭირეთ მხარი, ეს იმას ნიშნავს, რომ ის საიდანღაც უნდა შემოვიდეს საქართველოში.

დარწმუნებული ვარ, რომ ამ სფეროს რომელიმე ჩინოსანი მიხედავს. ის „დაკრიშავს“ მარიხუანის შემოტანას თუ ადგილზე მოყვანას. ამით ვიღაც ძალიან დიდ ფულს იშოვის. აი, ამას ემსახურება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება. ის არავის ადარდებს, რა დღეში ჩავარდება ქვეყანა. ყველანი ვხედავთ, ახლა რა ხდება და მერე ნახეთ მკვლელობები და გარჩევები.

ისევ ვერაზე მომხდარ ტრაგედიას დავუბრუნდები და სამართალდამცავებს მოვუწოდებ, რაც შეიძლება მალე გამოიძიონ ეს საქმე. ის მოზარდი თუ მოზარდები, ვინც ეს საშინელება ჩაიდინა, უნდა დაისაჯონ. პასუხი მათმა მშობლებმაც უნდა აგონ.

სისხლიანი გარჩევა 1 დეკემბერს მოხდა. ახლა, როცა ამ ინტერვიუს გაძლევთ, 3 დეკემბერია და 15 თუ 16 წლის მოზარდი ჯერ დაჭერილიც კი არ არის.



**გიგლა ბარამიძე: „16 წლის მოზარდი ვერ იპოვეს და ესენი ჩატაევს დაიჭერდნენ?!“**

21-22 ნოემბრის სპეცოპერაცია 21 საათი გააგრძელეს და თავი იმით გაიმართლეს, რომ ისინი საერთაშორისო დონის ტერორისტები იყვნენ და მათი აყვანა ასეთი იოლი არ არისო. ეს 15 თუ 16 წლის მოზარდიც ჩატაევია? ეს პატარა ლაწირაკი ვერ დაგიჭერიათ და ჩატაევს დაიჭერდით, თქვე გაჭირვებულებო? ვერც დაიჭირეთ და ამ თემაზეც რაღაც სისულელეებს ბოდავთ.

არაპროფესიონალებით, კორუმპირებულებით და ნათესავებით რომ გაავსეთ სახელმწიფო სტრუქტურები, ამიტომაც არის ამ ქვეყნის საქმე კარგად.

***— თქვენი აზრით, რაც ხორავას ქუჩაზე მოხდა, ხელისუფლების ბრალია?***

— ხელისუფლების უმოქმედობის ბრალია. ყველა აცხადებს, რომ კრიმინალის დონე გაიზარდა, ესენი კი ამტკიცებენ, რომ ყველაფერი კარგად არის. როგორ კარგადაც არის, ყველანი ვხედავთ. დღისით, მზისით სკოლიდან გამოსული მოზარდები დაჩეხეს. სკოლის დირექტორი კი თავს იმით იმართლებს, ჩვენ რა შუაში ვართ, სკოლის გარეთ მოხდაო. როგორც კი ეს განცხადება გააკეთა, მაშინვე უნდა გაეშვათ სკოლიდან. სკოლიდან სხვა მასწავლებლებიც უნდა დაითხოვონ.

ამათ რომ ვუყურებ, უკვე მეშინია, კიდევ უფრო დიდი უბედურება არ მოხდეს. 21-22 ნოემბრის სპეცოპერაციას დავუბრუნდები და ხომ გვიკვირდა, რა საჭირო იყო ამდენი დრო დამნაშავეების დასაჭერად ან გასანეიტრალებლად. როგორც უკვე გითხარით, 16 წლის მოზარდი ვერ დაიჭირეს 3 დღეა და ჩატაევს დაიჭერდნენ? იმედი მაქვს, ამ საქმის გამოსაძიებლადაც გამოძიების ფედერალურ ბიუროს არ ჩართავენ.

ან რა სამარცხვინო განცხადებები გააკეთეს იმ ანტიტერორისტულ ოპერაციაზე. 9 დღე დუმდნენ იმისთვის, რომ ის ეთქვათ, რაც ყველამ ისედაც ვიცოდით. ლიკვიდირებულთა შორის რომ ჩატაევი იყო, ეს 22 ნოემბრის საღამოსვე ვიცოდით პოლიტიკოსებმაც და ჟურნალისტებმაც. სათანადო სტრუქტურებში ყველას გვყავს ჩვენ-ჩვენი წყაროები.

***— რატომ დუმდნენ ამ თემაზე ამდენი ხანი, რატომ თავიდანვე არ დაადასტურეს, ვინ იყო ლიკვიდირებული?***

— ამ სპეცოპერაციასთან დაკავშირებით სუსმა განცხადება 9 დღის შემდეგ გააკეთა. ეს იყო ქვეყნის ხელისუფლების უსასოობის და უილაჯობის გამოვლინება. მთელი 9 დღე დუმდნენ, რომ შემდეგ ეთქვათ ის, რაც თქვეს. ის, რაც თქვეს, ისედაც ყველამ ვიცოდით.

ეს დუმილი იმისთვის დასჭირდათ, რომ რაღაც ვერსიები მოეფიქრებინათ. „ახალ თაობას“ ამ თემაზე სპეცოპერაციის დასრულების შემდეგ ვესაუბრე და მაშინ გითხარით, რომ ახლა ხელისუფლება ვერსიების შეჯერებაზე დაიწყებს მუშაობას. ერთად მოიფიქრებენ, რა უნდა თქვან.

***— თქვენი აზრით, ის, რაც გვითხრეს, 9 დღის ნაფიქრია?***

— მეტი არაფერი ჰქონდათ სათქმელი და რას მოიფიქრებდნენ. 2 ლიკვიდირებულის ვინაობა ან დღემდე არ იციან, ან მალავენ. ჩატაევის ამბავსაც დამალავდნენ, ამის შესახებ ინფორმაცია რომ არ გამოეჟონა.

კიდევ ერთხელ გვეუბნებიან იმას, რომ ამ ადამიანებზე 3 კვირა მიდიოდა თვალთვალი. თქვე გაჭირვებულებო, 3 კვირის მანძილზე ის როგორ ვერ დაადგინეთ, ვინ ცხოვრობდა იმ სახლში? ის მაინც არ უნდა გცოდნოდათ, ვის უთვალთვალებდით?! ის მაინც როგორ ვერ გაიგეთ, რომ დუპლექსის ტიპის ბინას უთვალთვალებდით.

ახლა საზეიმოდ გვამცნობთ, რომ საქმეში ჩვენი ამერიკელი მეგობრები არიან ჩართულიო. ეგ რას შველის? მათი ჩართვა უშველის იმ პრობლემას, რაც საქართველოს საზღვრებზე ხდება? ყველა გავიძახით, რომ საზღვრები არ კონტროლდება. ეს აფგან მუხთარლის მოტაცების შემდეგაც დადასტურდა. ადამიანი ქვეყნიდან ისე გაიყვანეს, ვერაფერი გავიგეთ. ახლა კი ქვეყანაში საერთაშორისო ტერორისტი და ინტერპოლის ძებნილი შემოდის. გამოძიების ფედერალური ბიუროს ჩართვა უშველის ამ უილაჯობას და განუკითხაობას?!

***— ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, რომ სახელმწიფო საზღვარი დაცულია. პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი კი ამბობს, რომ ჩვენი ქვეყნის რელიეფიდან გამომდინარე საზღვრის გაკონტროლება ადვილი არ არის.***

— მე ირაკლი სესიაშვილს ვიცნობ და არ მინდა დავიჯერო, რომ მან ასეთი რამე თქვა. პირადად ეს განცხადება არ მომისმენია. საზღვრის გაკონტროლება იოლი მართლაც არ არის, მაგრამ იმისთვის ხარ სახელმწიფო, რომ საზღვარიც უნდა გააკონტროლო და წესრიგიც დაამყარო.

***— ამის პასუხად ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი ამბობს, რომ საზღვარს ბოლომდე ვერც ამერიკა აკონტროლებს და დანაშაული ევროპის წამყვან ქვეყნებშიც ხდება.***

— ჩვენ ხომ აუცილებლად სხვისკენ უნდა გავიშვიროთ ხელი! რახან ამერიკა ვერ აკონტროლებს საზღვარს, ეს ყველა იმ დარღვევას ამართლებს, რაც საზღვარზე ხდება? რაკი ევროპის ქვეყნებში ხდება დანაშაული, ჩვენ გულზე ხელი უნდა დავიკრიფოთ? რაღა ეს მაგალითები მოჰყავთ, იქ რაც კარგი ხდება, ის რატომ არ ხდება საქართველოში?!

სადმე სხვაგან ხდება პრემიების და დანამატების ისეთი სიხშირით გამოწერა, როგორც საქართველოში? არაფერს არ აკეთებთ, ბატონებო, და ათასობით ლარს იღებთ ხელფასის სახით. ესეც აღარ გყოფნით და პრემია-დანამატებს უწერთ საკუთარ თავსა და ახლობლებს.

ოფიციალური ინფორმაციებიდან არის ცნობილი, რომ ზოგმა ჩინოსანმა დანამატი წელიწადში 27-ჯერ გამოიწერა, ზოგმა 36-ჯერ, ზოგმა კი – 41-ჯერ. ეს რომ ასეა, ეს ჩვენი ბრალიც არის. ვაბედინებთ და ისინიც ბედავენ.

მათ არც წესრიგი აინტერესებთ და არც – ხალხის მდგომარეობა. ისინი ხელისუფლებაში მხოლოდ იმიტომ მოვიდნენ, რომ რაც შეიძლება მეტი იშოვონ და მოქაფონ. კარგად იციან, რომ ასეთი შანსი სხვა დროს არ მიეცემათ. ისინი 6 წლის წინ ერთ მილიარდერ კაცს მიებნენ და ამის წყალობით მოხვდნენ ხელისუფლებაში. ახლა მათი მთავარი საზრუნავი, რაც შეიძლება მეტი ქონების დაგროვებაა. რამე რომ მოხდეს, იმ წუთშივე გაიქცევიან ქვეყნიდან. ქონებები საზღვარგარეთ აქვთ დაბანდებული, ქვეყნიდან გაქცევის უნარები კი 2008 წლის აგვისტოში გამოიმუშავეს. „ოცნების“ ბევრი წევრი გაიქცა მაშინ საქართველოდან.

საქართველო დღეს აღარ არის აღარც ქვეყანა და აღარც სახელმწიფო. ეს არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც არასამთავრობოების სურვილით და იან კელის, რომელიც ჩვენი გენერალ-გუბერნატორია, მითითებებით იმართება.

ეს კარგად გამოჩნდა სახალხო დამცველის არჩევის დროსაც. ამ პროცესშიც ღიად ჩაერია იან კელი. არასამთავრობოებზე აღარაფერს ვამბობ. პარლამენტის ვიცე-სპიკერმა, არასამთავრობოების ერთ-ერთმა აქტიურმა სახემ, თამარ ჩუგოშვილმა ყველაფერი გააკეთა, რომ სახალხო დამცველად ასევე არასამთავრობოებში გამოზრდილი ნინო ლომჯარია დაენიშნა. ეს ქალბატონები დაქალები არიან.

***— როგორც ამბობენ, ახალი სახალხო დამცველი საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის, არჩილ თალაკვაძის, მეგობარი და სკოლელია.***

— ასეა, მაგრამ ამ შემთხვევაში ქალბატონმა ჩუგოშვილმა იაქტიურა. აქტიურობა არც თავად ლომჯარიას დაუკლია. ძალიან კარგად ვიცი, თუ რა განწყობა იყო „ოცნებაში“ ამ ქალბატონის მიმართ, მაგრამ ბოლოს ისინი იძულებული გახდნენ, ის აერჩიათ სახალხო დამცველად.

***— იძულებულები რატომ გახდნენ, აშშ-ის ელჩის განცხადებამ აიძულა ისინი?***

— არა მარტო აშშ-ის ელჩის განცხადებამ. ქალბატონი ლომჯარია პირდაპირ აშანტაჟებდა „ოცნებას“. ის, მოგეხსენებათ, გენერალური აუდიტორის მოადგილე იყო. ცოტა ხნის წინ პარლამენტმა აუდიტის სამსახურის ახალი უფროსი აირჩია, რომელმაც ენჯეოელი ქალბატონი იქედან მიაბრძანა.

მოადგილედ ყოფნის პერიოდში მან ბევრი ინფორმაცია მოაგროვა „ოცნების“ წევრების შესახებ. აი, ამ მასალების გასაჯაროებით აშანტაჟებდა და ემუქრებოდა ის ხელისუფლებას. ამაზე კულუარებში „ოცნების“ დეპუტატებიც საუბრობენ და აუდიტის სამსახურის თანამშრომლებიც.

ამ შანტაჟს ამერიკის ელჩის მოთხოვნაც დაუმატეთ და ლომჯარია სახალხო დამცველად დაგვისვეს. ეს იან კელი, სხვათა შორის, ის ადამიანია, რომელმაც აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნები ჯერ დამთავრებული არ იყო, რომ ჰილარი კლინტონს მიულოცა გამარჯვება, პრეზიდენტი კი სხვა გახდა.

აშშ-ის პრეზიდენტი ვახსენე და დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები, ძალიან მალე დონალდ ტრამპის წინააღმდეგ იმპიჩმენტის პროცედურა დაიწყება. ლიბერტანული ძალები შეეცდებიან, ის პრეზიდენტის პოსტს ჩამოაშორონ.

ამერიკაზე ვსაუბრობთ და მინდა ჩვენი მაღალი იერარქიის სასულიერო პირების ამერიკულ ვიზიტზეც ვთქვა რამდენიმე სიტყვა. მღვდელმთავრების ნაწილი ამერიკაშია, ნაწილი რუსეთში. გვეუბნებიან, რომ გზებს ეძებენ. დიდი პატივისცემით მინდა ვუთხრა ამ ადამიანებს, რომ ის გზა, რომელსაც თქვენ დაადექით, არის უფლის გზა. უფლის გზა კი არც კრემლზე, არც ბრიუსელზე და არც ვაშინგტონზე არ გადის. უფლის გზა სახარებაზე და ლოცვაზე გადის.

მეგონა, რომ სასულიერო პირები საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას გააპროტესტებდნენ და მარიხუანის დეკრიმინალიზაციას შეეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ ისინი თურმე ვაშინგტონსა და მოსკოვში ეძებენ გზებს.

# სააკაშვილი პოროშენკოს ბლოკირებით ემუქრება

## „პოროშენკოს სამსახურში არ შევუშვებთ“

შორენა მარსაგიშვილი

ამ კვირაში უკრაინაში დიდი ამბებია მოსალოდნელი. უკრაინული მედიის ინფორმაციით, ადგილობრივი ოპოზიცია ქვეყნის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ბლოკირებას გეგმავს. ამ იდეის ავტორი საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილია.

ჩვენებურმა ჯერ კიდევ ნოემბრის თვეში დააანონსა, რომ 3 დეკემბერს პეტრო პოროშენკოს სახალხო იმპიჩმენტს დაიწყებდა.

ამასთან დაკავშირებით გუშინ მან და მისმა მომხრეებმა კიევში მსვლელობა გამართეს. მისი დასრულების შემდეგ კი ევროპის მოედანზე მიტინგი გამართეს.

მსვლელობის მონაწილეებს ხელში სხვადასხვა სახის პლაკატები ეკავათ. ისინი შემდეგ ფრაზებს ყვიროდნენ: „ბარიგებო, წაეთრიეთ“, „იმპიჩმენტი“, „გაილვიძე, კიევო“.

მსვლელობის მონაწილეებს გვერდიდან არ




მოშორებიან პოლიციელები. ისინი ევროპის მოედნამდე ერთად და მშვიდობიანად მივიდნენ.

მიტინგზე გამოსვლისას სააკაშვილმა განაცხადა, რომ 10 დეკემბერს პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობის ბლოკირება უნდა მოხდეს.

სააკაშვილი და მისი მომხრეები დარწმუნებული არიან, რომ ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო პრეზიდენტის იმპიჩმენტის შესახებ გადაწყვეტილებას არ მიიღებს. ისევე, როგორც არ დათანხმდებიან ანტიკორუფციული სასამართლოს შექმნას.

— ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ რადა პლენარულ სხდომაზე ამ გადაწყვეტილებებს არ მიიღებს. ამიტომაც ცოტა ზევით გადავინაცვლებთ და პრეზიდენტის ადმინისტრაციის ბლოკირებას მოვახდენთ. ჩვენ პოროშენკოს სამსახურში არ შევუშვებთ, — განაცხადა მიტინგზე სიტყვით გამოსვლისას სააკაშვილმა.

ის და მისი მომხრეები აქამდე რადასთან მართავდნენ აქციებს. იქ კარვებიც გაშალეს, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწიეს.

ნაპრეზიდენტალმა მომხრეებს მოუწოდა რომ მაიდანზე კარვები აღარ გაშალონ. სააკაშვილი ამბობს, რომ იმ ოდენობის ხალხს, რაც 10 დეკემბერს ქუჩაში გამოვა, კარვები ვერ დაიტევს.

— ახლა ქუჩაში ათეულობით ათასი ადამიანი გამოვიდა. ზუსტად ერთი კვირის თავზე მაიდანზე ასეულობით ათასი ადამიანი მოვა, — ირწმუნება სააკაშვილი.

უკრაინული მედია ეჭვობს, რომ 10 დეკემბერს ოდესის ოლქის ყოფილმა გუბერნატორმა ასეულობით ათასი ადამიანის გამოყვანა შეძლოს. მათი ინფორმაციით, 3 დეკემბერს გამართულ მსვლელობასა და მიტინგში 5.000-ზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა. სააკაშვილის მომხრეების აქტიურობას თვალს 1.200 სამართალდამცავი ადევნებდა.

სააკაშვილის მომხრეებმა, შესაძლოა, პრეზიდენტის ადმინისტრაციის და სხვა სამთავრობო შენობების ბლოკირება უფრო ადრე დაიწყონ. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ჩვენებურს დააკავებენ.

გასულ კვირას სააკაშვილმა თქვა, რომ 10 დეკემბრამდე მისი დაკავება იგეგმება. მან თავისიანებს დაუბარა, როგორც კი ხელს მტაცებენ, ეგრევე სამთავრობო შენობების ბლოკირება დაიწყეთო.

ნაპრეზიდენტალმა უკრაინის ხელისუფლებასაც მისცა რჩევა-დარიგება. აუხსნა, რომ მისი დაკავება და მათი დამხობა ერთი იქნება.

# რამაზ საყვარელიძე: „ბავშვებში ძალადობა განათლების დაბალი დონის ბრალია“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე პასუხობს.

***– ბატონო რამაზ, საზოგადოება შოკირებულია იმ ფაქტით, რაც 51-ე საჯარო სკოლაში მოხდა. დაღუპულია ორი მოსწავლე. რა ხდება, საიდან ამდენი აგრესია და როგორ უნდა მოხდეს ამ ყველაფრის პრევენცია? სად არის პრობლემის სათავე?***

– სად არის პრობლემის სათავე, ვერ გეტყვით ვერც მე და ალბათ ვინც იტყვის, არც იმის ნათქვამი იქნება ძალიან სანდო, რადგან ყველა ავადმყოფობას წინ უძღვის გამოკვლევა. გაჭირვებულ ადამიანებს უფასო გამოკვლევას პირდებიან, იმდენად მნიშვნელოვანია გამოკვლევის ეტაპი. არავინ არ პირდება, პირდაპირ წამალს მოგცემთო, რადგან იციან, თუ გამოკვლევა არ ჩატარდა, წამალი საწამლავია. 90-იანი წლებიდან ჩვენს საზოგადოებაში უამრავი რამე ხდება და რა ხდება ამ საზოგადოებაში, არ გამოგვიკვლევია და პირდაპირ ვეძებთ ხოლმე წამალს, რომელიც გვიშველის. არა თუ არ გამოგვიკვლევია, ის დისციპლინებიც ჩავრეცხეთ, რომელმაც ეს უნდა გამოიკვლიოს.

***– კერძოდ?***

– ფილოსოფია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია. ანუ საზოგადოების კვლევის ინსტრუმენტებიც აღარ აქვს გამართული სახელმწიფოს. როგორ უნდა გასცეს პასუხი?! პრობლემა ამ უბედურებით არ იწყება, ამ უბედურებაში უბრალოდ მწვავედ დავინახეთ, რომ რაღაც გვჭირს. თორემ გაცილებით ადრე რატომაც შემოიტანეს მანდატურის ინსტიტუტი, ანუ მაშინაც ანალოგიური მდგომარეობა იყო. ოღონდ იქაც კი არ ვიკვლიეთ, ფსიქოლოგების დახმარება კი არ მოვითხოვეთ, პოლიციელების დახმარება მოვითხოვეთ.

***– ანუ ეს იყო არასწორი ნაბიჯი? ფსიქოლოგის ინსტიტუტი უნდა ჩართულიყო?***

– ჯერ უნდა გამოკვლეულიყო, რა ხდება?! იმიტომ, რომ იმისდა მიხედვით, სად არის პრობლემა, აბსოლუტურად სხვადასხვანაირია. თუკი პრობლემა სკოლაშია, სხვა რამე უნდა გააკეთო, თუ პრობლემა სახლშია, ოჯახურ აღზრდაში – სხვა. თუ პრობლემა ტელევიზორშია, მაშინ სხვა. ანალოგიური პრობლემა, მოგეხსენებათ, ყველა ქვეყანას აქვს. უცხოელებმა იკვლიეს და აღმოაჩინეს, რომ ერთ-ერთი ფაქტორი ტელევიზორია.

***– ძალადობისკენ უბიძგებს?***

– ძალადობა ეკრანზე უბიძგებს მოზარდს ძალადობისკენ. სკოლაში რომ პოლიციელს შეიყვან, ამით რამე შეიცვლება?! ამდენად საკითხი ისმის, კულტურა როგორია? ხომ არ არის თვითონ დღევანდელ კულტურაში, დღევანდელ ყოფაცხოვრებასა და კულტურაში რაღაცა ისეთი, რომელიც აჩენს ამ მოვლენებს. მრავლობით რიცხვში იმიტომ ვამბობ, რომ მარტო ძალადობა არაა ქართული საზოგადოების ახალგაზრდულ პრობლემატიკაში წამყვანი. ნარკომანიაა წამყვანი და შეიძლება უარესი.

***– მაშინ როდესაც მოხდა ლეგალიზაცია მარიხუანასი, ეს ხომ არ წაახალისებს ამ თემას მოზარდებში?***

– არ ვიცით, შეიძლება ეს კარგია, შეიძლება არ არის კარგი. ამას შესწავლა უნდა. შესაძლოა შეამსუბუქოს სწრაფვა ნარკოტიკისკენ, შეიძლება პირიქით – აიწყვიტოს. ჩვენთან ყველაფერი კეთდება შესწავლის გარეშე. იმ მომენტში ვისაც რა მოუვა იდეა და რომელი იდეაც უფრო პოპულარულია ჩვენი საზოგადოების თუ უცხოეთის ამა თუ იმ წრეებში, მერე ამ იდეით ხელმძღვანელობენ. თორემ ადგილზე, ამ კონკრეტულ ქვეყანაში, საქართველოში რა მოვლენა რამ გააჩინა, ამას ხომ არავინ სწავლობს?! მხოლოდ ჟურნალისტები კითხულობთ ხოლმე ინტერვიუს რეჟიმში, მაგრამ ასე ჩვენ მიერ გამოთქმული აზრი ხომ შესწავლა არ არის?!

***– სკოლა, ოჯახი, საზოგადოება, ყველა ერთდროულად დამნაშავე და თანამონაწილეა ამ ტრაგედიისო. ყველაზე დიდი როლი ვისზე მოდის, როდესაც ბავშვის აღზრდაზე ვსაუბრობთ?***

– რა თქმა უნდა, საზოგადოება! იმიტომ, რომ საზოგადოება ზრდის მშობელს და მშობელი ზრდის მერე მოსწავლეს. რაც შეეხება სკოლას, შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე ნაკლები დანაშაული მას აქვს. დრო რომ აიღოთ, რამდენ დროს ატარებს მოსწავლე სკოლაში და რამდენ დროს ატარებს საზოგადოების დანარჩენ ნაწილთან. თანატოლები იქნება, უფროსები იქნება, ხელოვნება იქნება თუ ტელევიზორი, ინტერნეტი და ასე შემდეგ.

***– ხშირად გვესმის შეფასებები, რომ მასწავლებელმა, სკოლამ დაკარგა თავის ფუნქცია, რომ დაეცა მასწავლებლის ავტორიტეტი და ასე შემდეგ. ამაზე რას იტყვით?***

– თუ ადრე სკოლა და პედაგოგი იძლეოდა მთელ ინფორმაციას, მისგან უნდა გესწავლა, ის იყო მოსწავლისთვის ყველაფერი, დღეს ამ ფუნქციას ველარ მოთხოვ სკოლას. დღეს ინტერნეტია. მოსწავლე ინტერნეტში გაცილებით მეტი ოპერატიულობით მოქმედებს, ვიდრე მისი მასწავლებელი.

***– ანუ ამ კუთხით თუ შევხედავთ, დაკარგა სკოლამ ფუნქცია?***

– ცხოვრება შეიცვალა. ადრე ინფორმაციის მომწოდებელი იყო ძირითადად მასწავლებელი. ახლა ინფორმაციის მომწოდებელი მასწავლებელი ვერც ერთ ქვეყანაში ველარ არის. ყველა ქვეყანაში მეტ-ნაკლებად ინფორმაციის და ცოდნის ძირითადი წყაროს როლი მასწავლებელს ჩამოერთვა. დაწყებით კლასებში ის ამ როლს ასრულებს, მიჰყავს ბავშვები რაღაც დონემდე და მერე უკვე სულ სხვა მექანიზმები და პრინციპები უნდა გაიაზრონ თუ როგორ უნდა მოექცნენ ახალგაზრდას. ამას ზოგან იაზრებენ, ზოგან არა. ეს ყველა ქვეყნის პრობლემაა.



***– ეს პრობლემა მხოლოდ ჩვენ ქვეყანაში არ დგას?***

– ეს არაა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის სპეციფიკა. სხვებსაც აქვთ ეს პრობლემები, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ უნდა უცადო, როდის გადაწყვეტენ ამ პრობლემებს სხვები. დროს თავის მსხვერპლი მიჰყავს. პირველი ძალადობები რომ იყო თბილისში, მაშინ რომ დაფიქრებულიყვნენ, რა ხდება, იმიტომ, რომ ახალგაზრდა ბიჭებს ისედაც აქვთ ძალადობისკენ მიდრეკილება და რითი შეიძლება უშველო. თუკი ეს ბუნებრივი მიდრეკილებაა, თუ საზოგადოებისგან სტიმულირებულია? მაშინ რომ რაღაც გააზრებული მექანიზმები ამოქმედებულიყო, დღეს შეიძლება ეს ბავშვები მსხვერპლად არ შეწირვოდნენ. ეს ბავშვები მსხვერპლად ჩვენ დაუდევრობას შეეწირნენ!

***– რა მექანიზმებზე შეიძლება იყოს საუბარი, რა უნდა გაკეთდეს, რაშია გამოსავალი?***

– გააჩნია, რა არის ავადმყოფობა. ჩვენ ვეძებთ გამოსავალს დიაგნოზის გარეშე. ოდიოზური სიტუაციაა.

***– კეთდება შეფასებები, რომ ძალიან მძიმე მდგომარეობაა საჯარო სკოლებში. განათლების ყოფილმა მინისტრმა ისიც კი განაცხადა, რომ ობშიაკის ფულს აგროვებენ სკოლებში და ქურდული მენტალიტეტი მეფობსო. თქვენ რას იტყვით?***

– ჯერ ერთი, არ ვიცი, რას ეყრდნობოდა ყოფილი მინისტრი. ერთი შემთხვევაც შეიძლება ნახო და იმის საწინააღმდეგო შემთხვევაც. ხუთ უმაღლესში ვასწავლი და შესანიშნავი ბავშვები მყავს. ასე რომ, ასე ხელაღებით რაღაცის გადაჭრა ძნელია. მეორე მხრივ, გამოკვლევებმა აჩვენა, ამას წინათ დაიდო კვლევის შედეგები, რომ დონე ქართველი მოსწავლეებისა უფრო დაბალია, ვიდრე მსოფლიო საშუალო სტანდარტი.

***– ანუ გაუნათლებელ თაობაშია პრობლემა?***

– არ არის გამორიცხული, რომ განათლების დაბალი დონე იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ძალადობამ მოიმატა ახალგაზრდებში. რადგან ახალგაზრდას თვითდამკვიდრება უნდა და თუ ის ვერ ხედავს განათლებაში და ცოდნაში თვითდამკვიდრების საშუალებას, მერე ის იყურება კუნთებზე.

# გარემოს დაცვის კონტროლის სისტემა მთლიანად მოშლილია

მანანა იაშვილი

**ინტერვიუ თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის გარემოს, ჯანმრთელობისა და პროფესიული მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელ რევაზ კვერენჩხილაძესთან**



***– თქვენ იკვლევთ გარემოსა და ადამიანზე მავნე გარემო ფაქტორების გავლენას, როგორი შედეგი გაქვთ?***

– სამწუხაროდ, მდგომარეობა არ არის სახარბიელო, კონტროლის სისტემა სრულიად მოშლილია. 2005 წელს, როდესაც სააკაშვილმა გააუქმა სანიტარული სამსახური, რომელიც, მისი აზრით, ყველაზე კორუმპირებული ორგანო იყო, ამ გადაწყვეტილებამ ყველაფერი მოშალა. მას შემდეგ სურსათისა და სასმელი წყლის ხარისხის მონიტორინგი ხორციელდება სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრუქტურაში მყოფ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ. მაგრამ მისი პრაქტიკული ეფექტურობა კრიტიკას ვერ უძლებს, რადგან აღმსრულებელი ორგანო არ არსებობს, რომელიც უზრუნველყოფს შემდგომ ეტაპს, დაბინძურების წყაროების გამოვლენას და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

***– აბა როგორ ხდება კონტროლი?***

– გარემოს ზოგიერთი ფაქტორის კონტროლის ფუნქცია დაკისრებული აქვს გარემოს ეროვნულ სააგენტოს. როგორც აღვნიშნე, მაგრამ მათი ფუნქცია შეზღუდულია.

***– აბა როგორ ჭრის სახელმწიფო ჯანსაღი საარსებო გარემოს უზრუნველყოფას?***

– საკანონმდებლო რეგულირება შედარებით მოწესრიგებულია. 2003 წელს მიღებული იყო საქართველოს კანონი – სანიტარიული კოდექსი, რაც 2007 წელს შეიცვალა ახალი კანონით – საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ. განვლილმა წლებმა დაგვანახა, რომ აქტუალურია მისი რედაქტირება და დახვეწა. გარემოს ფაქტორების კონტროლის პროცესში 200-მდე აქტი იყო შემუშავებული და დამტკიცებული, მაგრამ წინა ხელისუფლების დროს, 2012 წელს ისინი გაუქმდა. მხოლოდ 2014 წელს მთავრობის დადგენილებით მოხდა მისი აღდგენა და დაიწყო ტექნიკური რეგლამენტების შემუშავების პროცესი, რაც ამჟამადაც მიმდინარეობს.

კარგი იქნება თუ ეს პროცესი დაჩქარდება და არ გადაიდება. საწარმოებში მომუშავეთა შრომის პირობების და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მათი გავლენის შესწავლის მიზნით შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტრუქტურაში შეიქმნა შრომის პირობების დეპარტამენტი, მაგრამ რეგიონებში განყოფილებების (ფილიალების) გარეშე, შედარებით მცირე საშტატო განრიგით, რაც არაეფექტურია. მიუხედავად ასეთი ზომებისა, საარსებო გარემოსა და ყოფა-ცხოვრების დანარჩენი სფერო, რომელიც მოწოდებულია, უზრუნველყოს ადამიანის საარსებო გარემოს ნორმალური მდგომარეობის შენარჩუნება, ფაქტობრივად, კონტროლის გარეშეა დარჩენილი.

***– რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ, რომ ორი სამინისტრო იყოფს გარკვეულ ფუნქციებს?***

– შესაძლებელია გარკვეული მაკოორდინირებელი ორგანოს შექმნა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტრუქტურაში, კიდევ უფრო მეტი ეფექტურობის გარანტიით – მთავრობაში. გარემოს მდგომარეობის მაკონტროლებელი ორგანოს ინსტიტუციური მოწყობის სქემის რამდენიმე ვარიანტის პროექტი შემუშავებულია ამ სფეროს ქართველი სპეციალისტების მიერ გადაცემულია შესაბამისი მმართველობის ორგანოებისათვის.

***– რა უნდა გაკეთდეს ამ მხრივ?***

– პირველ რიგში, უნდა განხორციელდეს საპარლამენტო ზედამხედველობა აღნიშნული კანონის მოთხოვნების შესრულებისადმი, რის შედეგადაც დადგინდება, რომ კანონის ბევრი მოთხოვნა ვერ სრულდება იმ „უბრალო“ მიზეზის გამო, რომ შესაბამისი მაკონტროლებელი ორგანო ქვეყანაში არ არსებობს. აღნიშნული საკითხი ჩვენ მიერ არაერთხელ დაისვა საქართველოს პარლამენტის წინაშე, მაგრამ ბოლო პერიოდამდე ამ მხრივ დადებითი ძვრები არ იყო.

***– ახლა გარემოს გავლენას ადამიანის ჯანმრთელობაზე აღარ სწავლობენ და იკვლევენ?***

– სისტემატური კვლევა, რა თქმა უნდა, არ არის. აღნიშნული სამუშაოები ტარდება დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ, მაგრამ მათ არ აქვთ ყველა შესაბამისი სტრუქტურა და ბოლომდე ამას ვერ აკეთებენ, რომ მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მოიკვლიოს ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოს მდგომარეობას შორის.

***– თქვენთან უნივერსიტეტში არ არის ამგვარი კვლევის ჩატარების შესაძლებლობა და სურვილი?***

– ჩვენთან მიმდინარეობს კომპლექსური კვლევა მხოლოდ თბილისის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებასა და მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის კავშირის დასადგენად. ახლა გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან ერთად გამოვლენილია თბილისის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ტერიტორიალური განაწილების მონაცემები. მოსახლეობის თვითშეფასება და კვლევის შედეგი იდენტურია.

***– თბილისის ძეგლები პირბადით შემოსილი დახვდა ქალაქელებს. ეს ქალაქის მოსახლეობის სრულიად გარკვეული პროტესტი და მოთხოვნაა. რას ფიქრობთ, რა ღონისძიებებია სასწრაფოდ გასატარებელი?***

– უკანასკნელი პერიოდის მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქალაქის ცენტრალურ, ინტენსიური სატრანსპორტო მოძრაობის უბნებში ზოგიერთი დამაბინძურებლის, ძირითადად, მტვრის შემცველობა 4-ჯერ აღემატება ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას. პრობლემის სიმწვავიდან გამომდინარე, უსწრაფესად გასატარებელია მთელი რიგი ადმინისტრაციული ხასიათის ღონისძიებები, რაზედაც ქალაქის მთავრობამ უკვე განაცხადა.

***– როგორი კავშირია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებასა და დაავადებების გამოვლენას შორის?***

– ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შედეგად შესაძლებელია როგორც მწვავე, ისე ქრონიკული პათოლოგიური პროცესის განვითარება, რაც დამოკიდებულია დამაბინძურებლების კონცენტრაციაზე. სპეციფიკური მოქმედების დროს კონკრეტული დამაბინძურებელი იწვევს შესაბამისი დაავადების განვითარებას, მაგალითად, ფტორის ქრონიკული მოქმედების შედეგად ვითარდება სპეციფიკური დაავადება – ფლუოროზი. რაც შეეხება ქრონიკულ არასპეციფიკურ მოქმედებას, ამ შემთხვევაში დამაბინძურებელი წარმოადგენს მაპროვოცირებელს, რისკის ფაქტორს, რომლის მოქმედების შედეგად მწვავდება ან ვითარდება ისეთი დაავადება, რომლისთვისაც დადგენილია სხვა გამომწვევი ფაქტორებით.

ამავე ეფექტებს მიეკუთვნება მოსახლეობის საერთო ავადობის ზრდა. მტვრის მოქმედებით ვითარდება სასუნთქი სისტემის დაავადებები ქრონიკული ბრონქიტის ან მისი გამწვავების სახით. ჰაერის სხვა დამაბინძურებლებიდან ყურადღებას იქცევს ტყვია, რომელიც დაზიანების მრავალფეროვნებით ხასიათდება – იგი აზიანებს სისხლის წარმოქმნის პროცესს, ცენტრალურ ნერვულ სისტემას, ზრდის პროცესს და სხვ. იგი განსაკუთრებით საშიშია ბავშვებისთვის, რადგან მნიშვნელოვნად განაპირობებს სისხლის დაავადებების, გონებრივი განვითარების შეფერხების, სხვა პათოლოგიური მდგომარეობების განვითარებას.

***– ბავშვებში, ლეიკოზების გარდა, კიბოს შემთხვევებიც გაზრდილია.***

– ამას ტყვიას ვერ დავუკავშირებთ, მაგრამ ეთილირებული ბენზინის გამოყენების შემთხვევაში, შესაძლებელია გარემოში კანცეროგენული თვისებების მქონე ბენზ(ა)პირენის გამოყოფა.

***– თბილისის პრობლემა უგეგმოდ აშენებული კორპუსებია, რომელიც ჩვენი მდებარეობიდან გამომდინარე ბუნებრივად არ ნიავდება, ამ სტანდარტების მიღებაში ჯანდაცვა არ უნდა ჩაერიოს?***

– თანამედროვე უსისტემო განაშენიანების შედეგად ეს სისტემა, პრაქტიკულად, მოიშალა და გაუარესდა ქალაქის ბუნებრივი განიავების პირობები. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ქალაქგეგმარებისა და ქალაქმშენებლობის გეგმის ექსპერტიზა შესაბამისი სპეციალისტების, მ.შ. გარემოს ჰიგიენის სპეციალისტების მიერ და ქალაქის გენერალურ გეგმასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

***– ჰაერის დაბინძურების ერთ-ერთ ფაქტორად ევროპასა და მსოფლიოში ხმაური ითვლება. ამ მხრივ რას გვეტყვით, როგორ ცხოვრობს თბილისი?***

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ვინ არის ბიზნესმენი გელა ბარკალაია, რომელსაც 6 წლით პატიმრობა მიესაჯა

„ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ კომპანია „მათე მოტორსის“ დამფუძნებელს დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე სასამართლომ 6 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

გარდა ამისა, ბიზნესმენს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 10.000 ლარის ოდენობის ჯარიმაც დაეკისრა.

საუბარია ბიზნესმენ გელა ბარკალაიაზე, რომელსაც ბრალად ედებოდა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით პირის დაშინება ინფორმაციისა და აღიარების მიღების მიზნით. გარდა ამისა, ბიზნესმენს ბრალად ედებოდა პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის უკანონოდ მოპოვება, შენახვა და გავრცელება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.



### რის გამო მიესაჯა ქართველ ბიზნესმენს 6-წლიანი პატიმრობა?

მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, გელა ბარკალაია „მათე მოტორსის“ ყოფილი თანამშრომლის სარჩელის

საფუძველზე დააკავეს. გავრცელებული ინფორმაციით, ბიზნესმენს მომჩივან ქალბატონთან წლების განმავლობაში სექსუალური ურთიერთობა ჰქონდა.

— გელას ამ ქალთან წლების წინ შეექმნა პრობლემები. ბიზნესმენმა ნ-ს „მათე მოტორსში“ დაახლოებით 2012 წელს დააწყებინა მუშაობა, სულ გვერდით ჰყავდა. ერთ წელს გელას სტუმრები ჰყავდა დუბაიდან და გოგირდის აბანოში წაიყვანა, იქ რა მოხდა ასეთი, არ ვიცი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იქ გაკეთდა რაღაც ჩანაწერი, რომლითაც გელას აშანტაჟებდა ის ქალი. დაახლოებით ორი წლის წინ, ეს ქალი საქართველოდან წავიდა ოჯახის წევრებთან ერთად და გელა მასთან დაკავშირებას ველარ ახერხებდა, როგორც ვიცი, ცოტა ხნის წინ დაადგინა მისი ადგილსამყოფელი, რუსეთში ცხოვრობდა... რაღაც ჰქონდა გელაზე ისეთი და ალბათ ეს ჩანაწერი იყო, რომელიც მან პოლიციაში წარადგინა. თუმცა რა იყო გადაღებული ამ ვიდეოზე და რა ურთიერთობა ჰქონდათ, ზუსტად ვერ გეტყვი, — აცხადებს მედიასთან პირი, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა.

### გელა ბარკალაია 2010 წელსაც იყო დაკავებული

აღსანიშნავია, რომ ბიზნესმენი ქრთამის მიცემის ბრალდებით 2010 წელსაც იყო დაკავებული. მისი დაკავება იმ დროს საკმაოდ მოულოდნელი იყო, რადგან „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების დროს, ბიზნესმენი იმ პრივილეგირებულ ადამიანთა რიცხვში იყო, რომელსაც ბიზნესის წარმოებისთვის ყველა გზა ხსნილი ჰქონდა. მისი კომპანია სახელმწიფო ტენდერებშიც იმარჯვებდა და მეტიც, წინასაარჩევნოდ ბიზნესმენმა საკუთარი ოფისის წინ ყვავილებით ხუთიანებიც კი ამოტვიფრა.

### რატომ გაიყო „ნაციონალური მოძრაობისა“ და ბიზნესმენის გზები და რატომ დააკავეს ბიზნესმენი?

2009 წელს კომპანიაში საგადასახადო სამსახური შევიდა, 2010 წელს კი ბიზნესმენი ტენდერის მოსაგებად ქრთამის გადახდის ბრალდებით დააკავეს. თუმცა, არსებული ინფორმაციით, ბარკალაიას დაკავებას კიდევ ერთი მიზეზი ჰქონდა. მედიის ცნობით, ბიზნესმენმა იმდროინდელ ხელისუფლებას „ვეფხისა და მოყმის“ ძეგლთან, ხიდის მშენებლობისთვის საკუთარი ოფისის ტერიტორია არ დაუთმო. აღნიშნული ფაქტი 2013 წელს თავად ბიზნესმენმაც დაადასტურა. ბარკალაიას თქმით, გიგი უგულავამ ის მიწა წაართვა, სადაც მისი ფირმის ოფისი მდებარეობდა და სანაცვლოდ, „გუდვილთან“ 800 000 დოლარის ღირებულების მიწა უყიდეს. ოთხი წლის წინ ბარკალაია მისი და „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების დაპირისპირების მიზეზებზეც საუბრობდა.

— ვფიქრობ, ვანო მერაბიშვილი მისმა მოადგილემ, შალვა ჯანაშვილმა მოატყუა. ერთ დღეს სანადიროდ ყოფილან. ვანო თურმე ეხუმრა, ასე ახლოს რომ ხარ ბარკალაიასთან, წილში ხომ არ ჩაგსვაო. ჯანაშვილს ამ სიტყვების შეეშინდა, სამსახურში აგენტი ჩამისვა, რომ ინფორმაცია გაეტანა. მერე ვანოს ტყუილი უთხრა, თითქოს ნახმარი ზეთი ჩავასხი პოლიციის მანქანაში. დღესაც ვამბობ, მერაბიშვილი არ დამიჭერდა, ის შეცდომაში შეიყვანეს. მე მისთვის არასოდეს მიღალატია, — აცხადებდა ბარკალაია 2013 წელს.

საბოლოოდ, 2010 წელს ბიზნესმენი საპროცესო შეთანხმებით გამოვიდა ციხიდან და ეს „ტოიოტას“ მარკის, 443.223 ლარის ღირებულების 10 „პიკაპი“ და 5.000 ლარი დაუჯდა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ქონება ბიზნესმენს 2015 წელს ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ დაუბრუნდა.

### ბარკალაიას ბიზნესები და „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირი

საჯარო რეესტრის მონაცემებით, გელა ბარკალაია „მათე მოტორსისა“ და „ბარკალაიას გრუპის“ 100-100%-იანი წილების მფლობელია. „მათე მოტორსი“ 2005 წელს, „ბარკალაიას გრუპი“ კი 2015 წელს არის დაფუძნებული. სწორედ ამ კომპანიაში გადაღებულ ფოტოს უკავშირდება, მედიაში გავრცელებული ინფორმაცია, ბიზნესმენის ქურდულ სამყაროსთან სავარაუდო კავშირებზე. კერძოდ, კომპანია „ბარკალაიას გრუპის“ შენობაში გადაღებულ ფოტოზე გელა ბარკალაია ფრიდონ ბარკალაიასთან (ცანციკო) ერთად არის გადაღებული, რომელიც მართალია იმ დროს ,კანონიერი ქურდი ალარ იყო, თუმცა, მედიის ცნობით, კრიმინალურ სამყაროში საკმაოდ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

### როგორ მიაღწია წარმატებას ბიზნესმენმა?

ბიზნესმენის ერთ-ერთი ახლობლის თქმით, ბარკალაიამ ყველაფერი ნულიდან დაიწყო და ბევრი მუშაობა დასჭირდა ბიზნესის გასავითარებლად.

— გელა ღარიბი ოჯახიდან იყო და მან ბიზნესი ნულიდან მაშინ დაიწყო, როდესაც ამ სიტყვის მნიშვნელობა საქართველოში ბევრმა არც იცოდა. საოცარი ალღოს მქონე ბიზნესმენია და მას დიდი ქონება, არც ერთ და არც ხუთ წელიწადში არ მოუხვეჭავს... ზოგიერთებივით, განუკითხაობის პერიოდში სახელმწიფო საწარმოები და სარფიანი რესურსები კაპიკებად არ ჩაუგდია ხელში.... ბევრს მუშაობდა სხვადასხვა სფეროში და თავის ბიზნესს ათწლეულების განმავლობაში თანდათანობით აფართოებდა, — აცხადებდა მიმდინარე წელს, ბიზნესმენის დაკავების შემდეგ, მისი ბავშვობის მეგობარი კახაბერ ადამია.

**ბიპიენი**

# „ჩვენი მთავრობები ისე იქცევიან, როგორც უპასუხისმგებლო იპოთეკარები“

ჩვენი ქვეყნის საგარეო ვალი ყოველწლიურად იზრდება, რაც ხშირად ხდება ეკონომისტების კრიტიკის საგანი.

მთავარი კითხვა, რომელსაც ჩვენი საზოგადოება ვალის მატებასთან ერთად სვამს, ასეთია: რამდენად შეძლებს ქართული სახელმწიფო ამ ვალდებულებების გასტუმრებას და ტვირთად ხომ არ დააწვება აღებული ვალი ჩვენს მომავალ თაობებს?

როგორც 2018 წლის ბიუჯეტის პროექტშია აღნიშნული, საქართველოს სახელმწიფო ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა 2018 წლის ბოლოსთვის არაუმეტეს 18.123 მილიარდი ლარის ოდენობით განისაზღვრება. აქედან, სახელმწიფო საგარეო ვალი – 14. 195 მილიარდი ლარის ოდენობით, ხოლო სახელმწიფო საშინაო ვალი -3.927 მილიარდი ლარით არის განსაზღვრული.

რაც შეეხება 2017 წლის მონაცემებს, ბიუჯეტის კანონში დაგეგმილი ცვლილებების თანახმად, 2017 წლის ბოლოსთვის სახელმწიფო ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა არაუმეტეს 16.316 მილიარდი ლარის ოდენობით არის განსაზღვრული. აქედან, სახელმწიფო საგარეო ვალი – 12.776 მილიარდი ლარით, ხოლო სახელმწიფო საშინაო ვალის ზღვრული მოცულობა- 3.540 მილიარდი ლარის ოდენობით არის განსაზღვრული.

შესაბამისად, ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, სახელმწიფო ვალის მოცულობა 2018 წელს, მიმდინარე წელთან შედარებით 1.807 მილიარდი ლარით იზრდება.

ექსპერტ გია ხუხაშვილის თქმით, პრობლემა ვალი კი არ არის, პრობლემა ჩვენი ქვეყნის კრედიტუნარიანობაა:

— ქვეყნის კეთილდღეობა იმით კი არ განისაზღვრება, თუ რამდენი ვალი აქვს მას, არამედ იმით, თუ მისი ეკონომიკა რამდენად ქმედითუნარიანია. სწორედ აქ ჩნდება მთავარი ეჭვი, რადგან ეკონომიკური ზრდის ტენდენცია ვალების ზრდის პროცესს საგრძნობლად ჩამორჩება. შედეგად კი, იბერება საკმაოდ სახიფათო ბუშტი, რომელიც შეიძლება რაღაც ეტაპზე გასკდეს და საქართველოს ძალიან ცუდად შემოუბრუნდეს.

პრობლემაა არა ვალები, არამედ ეკონომიკის ზრდის არასაკმარისი ტემპი. თუ მე იმის უნარი მაქვს, რომ კრედიტს გადავიხდი, რატომ არ უნდა ავიღო, მაგრამ თუ მისი გასტუმრების თავი არა მაქვს, ჯობია დროულად შევჩერდე. ჩვენი მთავრობები ისე იქცევიან, როგორც უპასუხისმგებლო იპოთეკარები, რომლებიც ყოველგვარი წინასწარი გათვლის გარეშე იღებენ კრედიტებს, მერე ვერ იხდიან და გაკოტრების რეჟიმში გადადიან. ვიდრე სახელმწიფო კრედიტს აიღებს, მოსალოდნელი რისკების შეფასება აუცილებელია, თუმცა ჩვენს ქვეყანაში ეს არ ხდება.

საქართველოს ეკონომიკა იმ ტემპით ვერ იზრდება, რომ ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებს მოერიოს, ამჟამად ჩვენი კრედიტუნარიანობაც არ არის იმ ვალდებულებების შესატყვისი, რასაც ქვეყანა იღებს. გარდა ამისა, კითხვები ჩნდება კრედიტების მიზნობრიობის ირგვლივაც. ვიცით, რომ კრედიტების ძირითადი ნაწილი ინფრასტრუქტურულ პროექტებში იხარჯება, რითაც ეკონომიკური აქტივობის იმიტაცია იქმნება და ასე იკვრება მოჯადოებული, მანკიერი წრე.

ცუდია, რომ ჩვენს სახელმწიფოში თითოეული თეთრი ეკონომიკურ წინსვლასა და განვითარებაზე არ იხარჯება. ეკონომიკური წინსვლა კი, ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარების გარეშე წარმოუდგენელია — ეს მე და ჩემს კოლეგებს არაერთხელ გვითქვამს. ხელისუფლება ითვისებს ყველაფერს, რასაც საერთაშორისო ორგანიზაციები სთავაზობენ და ნაკლებად ფიქრობს, რამდენად გადახდისუნარიანი იქნება ეკონომიკა მომავალში, როცა ამ ვალდებულებების შესრულების დრო დადგება. ვალების გამო წინა ხელისუფლებას ვაკრიტიკებდით, მაგრამ ამ ხელისუფლებამ ნაციონალების მიერ აღებული ტემპი კი არ შეინარჩუნა, მას გადააჭარბა კიდეც.

თსუ-ის ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის ხელმძღვანელი ვახტანგ ჭარაია მიიჩნევს, რომ საგარეო ვალდებულებები განვითარებულ ქვეყნებსაც აქვთ და მათი ვალი მშპ-ს ბევრად აღემატება:

**ვახტანგ ჭარაია:**

— ჩვენი ვალის მოცულობა საერთაშორისო გამოცდილების ფონზე საგანგაშო არ არის. მშპ-ის 200%-ს აღემატება საბერძნეთის, დიდი ბრიტანეთის და იაპონიის საგარეო ვალი, ჩვენი



სახელმწიფოს საგარეო ვალი კი, დაახლოებით მშპ-ის 45%-ია. უბრალოდ, საქართველოს ეკონომიკა ამ ძლიერ ქვეყნებთან შედარებით სუსტია. ვფიქრობ, რომ ჩვენი ქვეყნის მთლიანი საგარეო ვალი უფრო დამაფიქრებელია, რომელიც შიდა ვალს და საბანკო სექტორის ვალსაც მოიცავს. რამე რომ მოხდეს და კერძო სექტორმა ვალდებულებები ვერ გაისტუმროს, სახელმწიფო დაზარალდება, თუმცა, იმედი ვიქონიოთ, რომ ეს არ მოხდება.

როგორც წესი, საგარეო ვალი მიზნობრივი ხასიათისაა და არ შეიძლება ამ თანხით სახელმწიფომ პრემია-დანამატები გასცეს. როდესაც ქვეყანას საგარეო ვალს აძლევენ, ის კონკრეტული პროექტების განხორციელებას უნდა მოხმარდეს. ეს შეიძლება იყოს რკინიგზის, პორტის, ან გზების მშენებლობის პროექტი... ისეთი ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებისთვის, რომელიც ქვეყანას წაადგება, სესხის აღება ნამდვილად ღირს, მაგრამ ისეთი ვალი არ უნდა ავიღოთ, რომელიც ვილაცის კერძო ინტერესებს ემსახურება.

ვახტანგ ჭარაიას აზრით, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება აუცილებელია, ეს პროექტები გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი და მათ გარეშე ქვეყანაში ინვესტორები არ შემოვლენ:

— ავიღოთ თუნდაც ტერმინალი, რომელიც თბილისის აეროპორტთან ააშენეს. ამ ტერმინალის წყალობით ჩვენს აეროპორტს გაცილებით მეტი მგზავრის მიღების საშუალება აქვს. ეს პროექტი რომ არ განხორციელებულიყო, აეროპორტის გამტარუნარიანობა ძველ დონეზე დარჩებოდა და მეტ მგზავრს ველარ მიიღებდა. ახლა მგზავრების რაოდენობა გაორმაგებულია, თანაც, მათი უმრავლესობა ტურისტია. მსგავსი პროექტები ძალიან საჭირო და მნიშვნელოვანია თუნდაც ტურისტული სექტორის განვითარებისთვის.

ანალიტიკოსი ვაჟა კაპანაძე კი, მთავარ პრობლემად ჩვენი მთავრობის მიერ გატარებულ არასწორ ფისკალურ პოლიტიკას მიიჩნევს:

— ვალის აღება იმ მიზნით, რომ ბიუჯეტმა მიმდინარე ხარჯები დააფინანსოს, გონივრული საქციელი არ არის. მთავარია, რა პირობით აიღებ ვალს და რამდენია მისი საპროცენტო განაკვეთი. მთავრობა ამ ვალს საერთაშორისო ინსტიტუტებიდან იღებს, რომელთა კრედიტები ძალიან დაბალპროცენტიანია, თუმცა მთავარი ისაა, რომ ჩვენი ფისკალური პოლიტიკა კრიტიკას ვერ უძლებს.

ამის დასტურად ერთ მაგალითს დავასახელებ: რამდენიმე თვის წინ რეზერვები კომერციულ ბანკებში განათავსეს და მერე ისევ აიღეს ამ ბანკებიდან სახაზინო ვალდებულებების სახით. ამას რომელი ჭკუათმყოფელი იზამდა? სახელმწიფო ვალს იმისთვის თუ აიღებს, რომ პენსიები დაარიგოს, ეს გამართლებული ნაბიჯი არ არის, ვალმა ისეთი შემოსავალი უნდა მოგიტანოს, რომელიც ეკონომიკის განვითარებას შეუწყობს ხელს.

ამიტომაც ვამბობ, რომ ქვეყნის ფინანსური პოლიტიკაა სწორად დასაგეგმი. როგორ შეიძლება ფინანსთა სამინისტროს ფული ჰქონდეს და გონივრულად ვერ დახარჯოს? ცალკე საკითხია, იყენებენ კი მიზნობრივად და ეფექტიანად ამ თანხებს... ვნახოთ, ახალი მინისტრის მმართველობის პირობებში რა მოხდება — შეიცვლება თუ არა აქამდე მოქმედი არასწორი ფისკალური პოლიტიკა ახალი გზებით და ახალი მიდგომებით.

## გაზგასამართ სადგურებზე მოსაცდელები დამონტაჟდება

შპს „ნეოგაზი“ ავტო გაზგასამართი სადგურების ტერიტორიაზე მოსაცდელების დამზადება-მონტაჟის შესყიდვაზე ტენდერს აცხადებს.



სატენდერო პირობების თანახმად, მოსაცდელების მოწყობა იგეგმება თბილისში, ვარკეთილში, ჯავახეთის ქუჩაზე და მცხეთის რაიონის სოფელ წეროვანში მდებარე გაზგასამართ სადგურებზე.

ტენდერში მონაწილეებმა შემდეგი დოკუმენტაცია უნდა წარადგინონ: კომერციული წინადადება ყველანაირი ხარჯისა და გადასახადების ჩათვლით; ინფორმაცია ორგანიზაციის მიერ შესრულებული ანალოგიური/მსგავსი სამუშაოების შესახებ (სამუშაოს დასახელების, კონტრაგენტი ორგანიზაციის, პერიოდის მითითებით); ინფორმაცია სამუშაოების შესრულების ვადებისა და გადახდის პირობების შესახებ.

სატენდერო პირობების თანახმად, წინადადების წარდგენის ბოლო ვადა 2017 წლის 11 დეკემბერია.

# ბადრი ბერიშვილი ყოფილ ცოლს 80.000 დოლარს სთხოვდა

## ლუბლიანაზე სროლის დროს დაკავებულს წინასწარი პატიმრობა მიესაჯა

ლუბლიანას ქუჩაზე ყოფილ მეუღლეზე თავდასხმაში ბრალდებულ ბადრი ბერიშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

ამასთან დაკავშირებით საქალაქო სასამართლო განცხადებას ავრცელებს.

„თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა ქ. თბილისის პროკურატურის შუამდგომლობა ოჯახის წევრის მიმართ განზრახ მკვლელობის მცდელობისა და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით პოლიციელის მიმართ სიცოცხლის მოსპობის მცდელობის ბრალდების საქმეზე. სასამართლომ ბრალდებულ ბ.ბ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობა შეუფარდა.

საქმის მასალების თანახმად, 2017 წლის 30 ნოემბერს, ბრალდებული ყოფილ მეუღლეს საცხოვრებელ ბინასთან დახვდა და იარაღის მუქარით სთხოვდა თანასაკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინის რეალიზაციის შედეგად მიღებული სრული თანხის, 80.000 აშშ დოლარის, დაუყოვნებლივ გადახდას, წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრებოდა სიცოცხლის მოსპობით.

ბ.ბ. ყოფილ მეუღლეს აყენებდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას, ასევე იარაღით ემუქრებოდა დასახმარებლად გამოსულ მეზობელსაც. ბრალდებული არ დაემორჩილა შემთხვევის ადგილზე მისული სამართალდამცველების კანონიერ მოთხოვნას და განახორციელა გასროლა ყოფილი მეუღლის მისამართით, რის შემდგომაც ასევე რამდენიმე გასროლა განახორციელა პოლიციელთა მიმართულებით. პატრულ-ინსპექტორის საპასუხო გასროლის შედეგად კი მოხდა მისი შეჩერება და დაკავება.

შუამდგომლობის განხილვისას სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების როგორც ფაქტობრივი (მტკიცებულებითი), ისე ფორმალური (საპროცესო) საფუძვლები.

ბ. ბ.-ს ბრალი დაედო სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენის მცდელობისათვის, ასევე მას ბრალი დაედო მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენის მცდელობის ფაქტზე. ბრალდებულის



მხრიდან მიმალვის, მოწმეებზე ზემოქმედების, მტკიცებულებათა განადგურების, ახალი დანაშაულის ჩადენისა და დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების საფრთხეთა გათვალისწინებით, სასამართლომ ბ.ბ.-ს მიმართ გამოიყენა უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების სახე – პატიმრობა.

მოცემულ საქმეზე წინასასამართლო სხდომა 2018 წლის 24 იანვარს 13:00 საათზე გაიმართება“, – ნათქვამია სასამართლოს განცხადებაში.

* * *

ნიუპოსტის ცნობით, ბადრი ბერიშვილი ყოფილი პოლიციელია.

„ქრონიკის“ ინფორმაციით კი, 57 წლის კაცი ყოფილ მეუღლეს ქონებრივ დავაზე დაუპირისპირდა, რადგან ქალმა მათი კუთვნილი ბინები და ავტომანქანა ისე გაასხვისა, რომ ბადრი ბერიშვილმა არაფერი იცოდა.

# ახალციხეში „ქართული ოცნების“ დეპუტატის მანქანასთან აფეთქება მოხდა

### ამ დროს ამბარცუმ ბაბოიანი სპორტდარბაზში იყო




2 დეკემბერს ახალციხეში, სპორტდარბაზთან გაჩერებულ ავტომანქანასთან აფეთქება მოხდა. ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით, აღნიშნული ავტომანქანა ახალციხის საკრებულოს „ქართული ოცნების“ დეპუტატს, ამბარცუმ ბაბოიანს, ეკუთვნის. აფეთქების შედეგად არავინ დაშავებულა.

შიდა კამერებით დაფიქსირებული ვიდეო მასალის მიხედვით, აფეთქების ხმა 20:35 წუთზე დაფიქსირდა.

თვითმხილველების თქმით, აფეთქების დროს მანქანასთან არავინ იმყოფებოდა.

ამ დროს ახალციხის საკრებულოს დეპუტატი ამბარცუმ ბაბოიანი სპორტდარბაზში იმყოფებოდა, მისი კუთვნილი ავტომობილი კი სკოლის წინ იყო გაჩერებული.

შემთხვევის ადგილზე აფეთქების დროს ბაბოიანის მანქანასთან ახლოს კიდევ ორი მანქანა იდგა. მათ შორის ერთ-ერთი დაზიანდა, მინები ჩაემტვრა და დაიხვრიტა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მომხდარზე ძიება სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო, რაც აფეთქებით სხვისი ნივთის დაზიანებას გულისხმობს.

# გორის თეატრის სკვერში მამაკაცის ცხედარი იპოვეს




გორის თეატრის სკვერში მამაკაცის ცხედარი იპოვეს. როგორც ადგილობრივები აცხადებენ, მამაკაცი უსახლკარო იყო და ღამეებს გორის თეატრის ეზოში ათენებდა.

შსს-ს ინფორმაციით, აღნიშნულთან დაკავშირებით გამოძიება სსსკ-ის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

# ქუთაისში სასაფლაოზე 17 წლის ახალგაზრდა მოკლეს

### ეჭვმიტანილი მისი კლასელია

ქუთაისში 2 დეკემბერს 17 წლის ახალგაზრდა მოკლეს.

დაახლოებით ღამის 2 საათზე დაჭრილი ქუთაისის რეგიონულ კლინიკურ საავადმყოფოში მიიყვანეს. საავადმყოფოს დირექტორის, ირაკლი გოგავას თქმით, მოზარდს ჭრილობა გულის არეში ჰქონდა მიყენებული. საავადმყოფოში მიყვანისას ბავშვი უკვე გარდაცვლილი იყო.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, წყალტუბოს რაიონში მომხდარი მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გაიხსნა.



„შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1999 წელს დაბადებული ი.ტ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 2 დეკემბერს წყალტუბოს რაიონის სოფელ ოფშკვითში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, დანით გულმკერდის არეში ერთი ჭრილობა მიაყენა 2000 წელს დაბადებულ თ.ბ.-ს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ი.ტ. თბილისში დააკავეს. გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით). მკვლელობაში ბრალდებულს 7-დან 15 წლამდე პატიმრობა ემუქრება“, – აცხადებენ შსს-ში.

გუშინ, 3 დეკემბერს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ოფშკვითში მოკლული ახალგაზრდის ოჯახი დამნაშავის ლინჩის წესით გასამართლებას ითხოვდა. გარდაცვლილი ახალგაზრდის ოჯახის წევრების ინფორმაციით, ბიჭებს შორის კონფლიქტი ხშირი იყო.

მკვლელობაში ბრალდებული და გარდაცვლილი თანასოფლელები არიან. 2 დეკემბერს საღამოს მათ შორის სასაფლაოზე შელაპარაკება მოხდა, რის შედეგადაც 17 წლის ბიჭი გულის არეში დაჭრეს.

გარდაცვლილის მეზობლები და ახლობლები ამბობენ, რომ მკვლელობაში ბრალდებულის ოჯახს სოფელში აღარ აცხოვრებენ.

ბრალდებული და გარდაცვლილი კლასელები იყვნენ. მოკლული სკოლის მოსწავლე დედისერთა იყო და დედა თურქეთში სამუშაოდ იმყოფებოდა.

# იმერეთში ბმვ-ს მგზავრებს 5-მა კაცმა 140.000 დოლარი წაართვა

### თავდამსხმელებიდან 3 ქართველია, 2 – აზერბაიჯანელი, რომლებიც ავტორიტეტ „გულის“ დაჯგუფებაში შედიან

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ორი მოქალაქე: 1988 წელს დაბადებული რ.ა. და 1973 წელს დაბადებული ჰ.ა., ყაჩაღობის ბრალდებით, თერჯოლის რაიონის სოფელ ბროლისქედში დააკავეს.




გამოძიებამ დაადგინა, რომ მიმდინარე წლის 1 დეკემბერს ხარაგაულის რაიონის სოფელ საქასრიაში ნ.მ.-ს და ა.მ.-ს, რომლებიც „ბმვ“-ს მარკის ავტომობილით თბილისიდან ბათუმის მიმართულებით მიემართებოდნენ, ცეცხლსასროლი იარაღებით შეიარაღებული ხუთი პირი თავს დაესხა. თავდამსხმელებმა მათ, სიცოცხლისთვის საშიში ძალადობით და ძალის გამოყენების მუქარით, 140 ათასი აშშ დოლარი, მობილური ტელეფონები, ასევე, პირადი ნივთები გასტაცეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

სამართალდამცველებმა ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, ორგანიზებული ჯგუფის ყველა წევრის ვინაობა დაადგინეს. დადგინდა, რომ ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებს შორის სამი საქართველოს მოქალაქეა, ორი კი აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე. წინასწარი ინფორმაციით, ორივე მათგანი ცნობილი კრიმინალური ავტორიტეტის, ე.წ. კანონიერი ქურდის – ნ.ს.-ს, მეტსახელად „გულის“, დაჯგუფების აქტიური წევრები არიან.

სამართალდამცველებმა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის ორი წევრი – რ.ა. და ჰ.ა. მომხდარიდან მეორე დღეს, თერჯოლის რაიონის სოფელ ბროლისქედში, ავტომობილით გადაადგილებისას დააკავეს.

პოლიციამ დაკავებულების პირადი ჩხრეკისას, გატაცებული თანხის ნაწილი – 90 ათასი აშშ დოლარი – ნივთმტკიცებად ამოიღო. ჯგუფის სხვა წევრების დასაკავებლად მიმდინარეობს ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებები.

გამოძიება დიდი ოდენობით ფულადი თანხის დაუფლების მიზნით ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით 8-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

## მალამო „მენტორი პირველი“

**ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რევმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოლოს ნაკბენის დროს.**

**გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.**

### სითხე მენტორი — 4

**დაზიანებული თავის კანის შესაზელი სითხე მენტორი 4. წამალი იცავს თავს გამელოტებისაგან. გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: თავის კანის სოკოვანი დაავადება, ქავილი, ქერტლი, ყურის ქავილი, სებორია.**

**გამოყენების წესი: თავის დაბანის შემდეგ თმა უნდა გაიმშრალოთ და სითხე მენტორი 4 უნდა შეიზილოთ თმის ძირებში. ის აღადგენს დაზიანებულ თავის კანს, ქრება ქავილი, ქერტლი, აწყნარებს თავის კანს და ამაგრებს თმის ძირებს.**

☎ 599-73-48-21

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# შესაძლებელია თუ არა რუსეთისათვის სანქციების მოხსნა?

## ევროპელი ექსპერტები რუსეთთან თანამშრომლობის განახლებას არ გამორიცხავენ

მარიამ მჭედლიშვილი



რუსეთისაგან დაზარალებულ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, იმედი აქვთ, რომ გამკაცრებული სანქციებით დასუსტებული კრემლი გადახედავს თავის აგრესიულ პოლიტიკას.

აშშ-ის ელჩი რუსეთში ჯონ ჰანტსმანი ასახელებს პირობას, რა შემთხვევაში შეიძლება მოეხსნას სანქციები რუსეთს. მისი თქმით, ამაზე საუბარი შესაძლებელი იქნება უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთში კონფლიქტის მოგვარების შემდეგ.

– მხარეები უნდა დარჩნენ მოლაპარაკებათა მაგიდასთან და მოახდინონ კონცენტრირება იმ საკითხებზე, რომლებიც იწვევს სანქციებს, – აღნიშნავს ამერიკის ელჩი.

2014 წელს ვაშინგტონმა და ევროკავშირმა რუსეთს დაუწესეს შეზღუდვები ყირიმის მიტაცებისა და აღმოსავლეთ უკრაინაში განხორციელებული აგრესიის გამო. რამდენიმე თვის წინ სანქციები გამკაცრდა და რუსეთის ეკონომიკის მთელი სეგმენტები მოიცვა.

„როიტერის“ ინფორმაციით, პრეზიდენტად დონალდ ტრამპის არჩევის შემდეგ მისი აწ უკვე ყოფილი მრჩევლის, მაიკ ფლინის მეშვეობით დაგეგმილი იყო სანქციების შერბილება. კერძოდ, ფლინს ხელი უნდა შეეწყო ახლო აღმოსავლეთში რუსული ატომური ელექტროსადგურის მშენებლობისათვის. ამისათვის რეგიონში მოწყობილობები უნდა გადაეზიდა კომპანია „გაერთიანებულ მანქანათმშენებელ ქარხნებს“, რომელიც სანქციების სიაში მაშინაც შედიოდა.

სანქციების საპასუხო ნაბიჯებს რუსეთიც დგამს. კრემლს შავ სიაში, სხვებთან ერთად, ჰყავს შეყვანილი აშშ-ის ყოფილი ელჩი რუსეთში მაიკლ მაკფოლი. დიპლომატი ამას აპროტესტებს. იგი დასახმარებლად თავის კოლეგებს მიმართავს. მაკფოლი აცხადებს, რომ რუსეთში ჩასვლას აპირებს და მის წინააღმდეგ სანქციების მოხსნას მოითხოვს.

ანტირუსულ სანქციებს კანონზომიერად მიიჩნევს ევროპელი ექსპერტი, პროფესორი ვარნიკ იანგზი.

ამასთან, იგი აანალიზებს ევროკავშირის ბოლო წლების პოლიტიკას რუსეთის მიმართ. მეცნიერი საუბრობს „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროგრამის ქვეყნებზე, რომელშიც საქართველოც შედის.

იანგზის შეფასებით, ევროკავშირმა შეცდომა დაუშვა, როცა არ გააანალიზა თავისი მოქმედებების შედეგები „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროგრამის ფარგლებში და ანგარიში არ გაუწია რუსეთს. აღმოსავლეთის პარტნიორი ქვეყნების მიმართ მოქნილობის გამომჟღავნება კი, სწორი გათვლა და მიღწევაა.

– იმაზე, რაც ხდება ყირიმსა და უკრაინის აღმოსავლეთში, პასუხისმგებელია რუსეთი. ამასთან, ევროკავშირმა დაბალანსებულად უნდა ირეაგიროს მიმდინარე მოვლენებზე, რათა არ გაზარდოს დაძაბულობა, – აღნიშნავს ექსპერტი.

მისი სიტყვებით, რუსეთმა უნდა აღიაროს, რომ მისი ზოგიერთი მოქმედება „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნებისადმი აბსოლუტურად მიუღებელია, ხოლო ევროკავშირმა უნდა შეიგნოს, რომ რუსეთი ლეგიტიმური პარტნიორია ლეგიტიმური ინტერესებით რეგიონში. ევროკავშირსა და რუსეთს ერთმანეთი სჭირდებათ სხვა გლობალური საკითხების ერთობლივად გადასაწყვეტად. ევროკავშირმა და რუსეთმა ერთმანეთის მიმართ უფრო მეტი სერიოზულობა უნდა გამოიჩინონ, ვიდრე ეს იყო 2014 წლამდე.

იანგზი აცხადებს, რომ დადგა დონბასის პრობლემის ფუნდამენტურად გადაწყვეტის დრო. ამ საკითხზე გეგმის შემუშავება სათავეს დაუდებს ევროკავშირსა და რუსეთს შორის ურთიერთობის განახლებას. მომავალში ევროკავშირი და რუსეთი სხვა საკითხებზეც იმუშავებენ.

# პოროშენკო: „მალე ჩატარდება რეფერენდუმი უკრაინის ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე“



რუსეთ-უკრაინის ომი უკრაინის შიგნით არსებულ მდგომარეობაზეც აისახა. მოსახლეობის 78% დღევანდელ ხელისუფლებას არ ენდობა. ამავე დროს, საპროტესტო აქციებში მონაწილეობის მიღებას უკრაინელთა მხოლოდ 4% აპირებს.

სამაგიეროდ, ევრო-ვექტორთან დაკავშირებით სიტუაცია დიამეტრალურად განსხვავდება. დამოუკიდებელი უკრაინის არსებობის 25 წლის მანძილზე პირველად ნატოში გაწევრიანების მომხრეთა რაოდენობამ 73%-ს მიაღწია. ევროკავშირში შესვლის მომხრეთა რიცხვი ოდნავ მეტია და 77%-ს აღწევს.

ამრიგად, არჩევნების გზით უკრაინის ხელისუფლებაში პრორუსული ძალის მოყვანა შეუძლებელია. კრემლმაც აქცენტი სეპარატიზმის განვითარებაზე, ტერორზე, დივერსიებსა და საბოტაჟზე გააკეთა.

უკრაინის ამჟამინდელი ხელისუფლება ასეთი გამოწვევისთვის მოუმზადებელი აღმოჩნდა.

– უკრაინაში პოლიტიკური ბალანსი დაირღვა. ეს ქვეყანას საფრთხეს უქმნის, – თვლის ხელისუფლებასთან დაახლოებული ექსპერტი ტარას ჩერნოვილი.

ხელისუფლება დაბნეულია. პოროშენკო დონბასში უკრაინული არმიის წარმატებებმაც კი შეაშფოთა. უკრაინელმა მეომრებმა არა მხოლოდ რუსების შეტევები მოიგერიეს, არამედ კონტრშეტევაც განახორციელეს და რიგი დასახლებული პუნქტები დაიკავეს. ამაზე ზოგიერთმა უკრაინელმა ტელეარხმა უცნაური კომენტარი გააკეთა.

– რაც უფრო მკვეთრია ჩვენი მეომრების წარმატებები დონბასის ფრონტზე, მით უფრო რეალური ხდება რუსეთის ფართომასშტაბიანი ინტერვენციის საფრთხე, – თქვეს ტელეკომპანია მე-5 არხზე, რომელიც უკრაინის პრეზიდენტის კუთვნილებაა.

ოპონენტებმა პრეზიდენტი გაუბედაობაში დაადანაშაულეს, პოროშენკომაც კონტრსვლა გააკეთა. ტელევიზიით გამოსვლისას მან განაცხადა, რომ მალე ჩატარდება რეფერენდუმი უკრაინის ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე.

– პროდასავლური ორიენტაცია დღეს ერთადერთი საკითხია, რომელიც მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას აერთიანებს. ჩემი აზრით, ასეთი რეფერენდუმი რაც შეიძლება სწრაფად უნდა ჩატარდეს, – თქვა უკრაინის ექსპრეზიდენტმა ლეონიდ კრავჩუკმა.

დონბასში კი ომი გრძელდება. ეს აიძულებს დასავლეთს, რუსეთის მიმართ უფრო მკვეთრი პოლიტიკა გაატაროს.

აშშ-ის ელჩმა რუსეთში ჰანსტმანმა განაცხადა, რომ სანამ უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა არ აღდგება, რუსეთის მიმართ სანქციები არ გაუქმდება.

# ტრამპი: „ტილერსონი თანამდებობაზე რჩება!“

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ოფიციალურად უარყო მედიაში გავრცელებული ცნობა რექს ტილერსონის სახელმწიფო მდივნის პოსტიდან გათავისუფლებისა და მისი სცც-ს დირექტორ მაიკ პომპეოთი ჩანაცვლების შესახებ.

– ტილერსონი თანამდებობაზე რჩება! – თქვა ტრამპმა.

# აშშ-მ შესაძლოა საელჩო ისრაელში იერუსალიმში გადაიტანოს



პრეზიდენტი ტრამპი აპირებს, იერუსალიმის ნაწილი ისრაელის დედაქალაქად აღიაროს.

ქალაქის მეორე ნაწილი პალესტინელებს ეკუთვნით.

შესაძლოა, აშშ-ის საელჩო ისრაელში თელავივიდან იერუსალიმში გადაიტანონ.

ექსპერტები თვლიან, რომ იერუსალიმის ისრაელის დედაქალაქად აღიარება ახლო აღმოსავლეთში ისედაც დაძაბულ სიტუაციას კიდევ უფრო დაძაბავს.

ტრამპიც ყოყმანობს. შესაძლოა, მან გადაწყვეტილება კიდეც შეცვალოს.

# პატრიარქი ფილარეტი: „კიევის საპატრიარქო მოსკოვის მმართველობის ქვეშ აღარასოდეს მოექცევა!“



უკრაინის ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის კიევის საპატრიარქოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ფილარეტმა უარყო რუსული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომ მან რუსეთის პატრიარქს წერილი გაუგზავნა და პატიება სთხოვა.

– წერილი მართლაც გავუგზავნე, მაგრამ პატიებაზე იქ ერთ სიტყვაც არაა ნათქვამი. ჩემი მიზანია, რომ რუსეთის ეკლესიამ კიევის საპატრიარქო აღიაროს, – თქვა ფილარეტმა.

მისმა უწმინდესობამ ხაზი გაუსვა, რომ უკრაინის ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესია რუსეთის მმართველობის ქვეშ დაბრუნებას არ აპირებს.

– კიევის საპატრიარქო მოსკოვის მმართველობის ქვეშ აღარასოდეს მოექცევა, – თქვა ფილარეტმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# ნეთანიაჰუ: „ისრაელი თეირანს საშუალებას არ მისცემს, ბირთვული იარაღი მოიპოვოს“

ისრაელი არ დაუშვებს სირიაში ირანის მუდმივ სამხედრო ყოფნას და თეირანს საშუალებას არ მისცემს, ბირთვული იარაღი მოიპოვოს.

ამის შესახებ ნათქვამია ისრაელის პრემიერ-მინისტრის ბენიამინ ნეთანიაჰუს ვიდეომიმართვაში.

– ჩვენ ირანის რეჟიმს, რომელიც ისრაელის სახელმწიფოს განადგურებისკენ მიისწრაფის, საშუალებას არ მივცემთ, ბირთვული იარაღი მოიპოვოს და არ დავუშვებთ ამ რეჟიმის სირიაში ყოფნას, სადაც ისინი თავს დაიმკვიდრებენ ჩვენი სახელმწიფოს განადგურების ღია განზრახვით, – განაცხადა ისრაელის პრემიერ-მინისტრმა.

2 დეკემბერს ისრაელმა დამასკოს სამხრეთ-აღმოსავლეთში, ელ-ქისვას რაიონში მდებარე ირანული სამხედრო ობიექტის მიმართულებით რამდენიმე რაკეტა გაუშვა.

არაბული მედიის ინფორმაციით, სარაკეტო დარტყმების შედეგად 12 ირანელი სამხედრო დაიღუპა და ათეულობით დაშავდა.



# განცხადებები

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

- ონკოლოგიური პროცესების მართვა, ლიმფის გაწმენდით მეტასტაზების განადგურება, სიმსივნური უჯრედის ზრდის შეჩერება, ქიმიოთერაპიის ეფექტურობის გაზრდა, იმუნიტეტის ამაღლება, თმის ცვენის, გულის რევის შეჩერება, ენერგიისა და ჭამის მადის მომატება მცენარეული, აბსოლუტურად უვნებელი საშუალებებით. ტელ: 597-98-95-99.
- ფსორიაზის, ეგზემის, კანისა და ფრჩხილის სოკოს მკურნალობა გარანტირებული შედეგებით. ფსორიაზის მკურნალობა ლიმფის გაწმენდით (შინაგანად) და მალამოებით. მამაკაცური სექსუალური პრობლემების მოწესრიგება, ერექციის გახანგრძლივება და სხვა – მხოლოდ მცენარეული პრეპარატებით. ტელ: 597-98-95-99.
- ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.
- სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.
- ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზიური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.
- სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.
- კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.
- სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# სოლომონ კვერკველია: „ლოკომოტივის მოგებებს ვაგროვებ“

რუსეთის პრემიერლიგის მიმდინარე სეზონის ერთ-ერთი გამორჩეული მცველი **სოლომონ კვერკველია**, დიდი შანსია, ინგლისის პრემიერლიგაში აღმოჩნდეს. რუსული მედიის ცნობით, ქართველი ფეხბურთელით ლივერპული, ჩელსი და ვესტ ჰემია დაინტერესებული.

თუმცა, ჯერ კონკრეტული არაფერია, ხოლო სოლომონის ინტერვიუ კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

***– როდესაც ლოკომოტივში გადმოხვედით, წარმოიდგენდით, რომ 19 ტურის შემდეგ ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერები იქნებოდით?***

– მარტო პირველ ადგილზე არ ვართ – ყველა პრინციპული მეტოქე დავამარცხეთ და პირველობით ბედნიერი ვართ. ვიცოდი, რომ ლოკომოტივი ყოველთვის ძლიერი გუნდი იყო, ჩემი გადმოსვლის შემდეგ კი ზრდას განაგრძობს.

***– ყოველთვის რატომ ვერ ახერხებთ სუსტ გუნდებთან გამარჯვებას?***

– ფეხბურთი ასეთი სპორტია, აქ შემთხვევითობა ხშირად მოქმედებს.

***– „ჩაკეტილ“ გუნდთან დაცვა უფრო რთულია თუ კონტრშეტევებზე?***

– ეს კითხვა თავდამსხმელებისთვისაა.

***– რომელი მატჩი იყო მიმდინარე სეზონში ყველაზე ემოციური?***

– სპარტაკთან (4:3) აგვისტოში, რადგან ცსკას დამარცხების მიუხედავად, ჩვენი ძალიან ცოტას სჯეროდა. პირველი ტაიმი 0:2 წავაგეთ, მაგრამ გასახდელში მობილიზება მოვახერხეთ, მწვრთნელმა რამდენიმე ცვლილება შეიტანა თამაშში. ჩვენ მეორე ტაიმში 4 გოლი გავიტანეთ. ეს იყო ნამდვილი ეიფორია, ჩვენ ვართ გუნდი, ჩვენ შევძელით!

***– იური სიომინმა ამ სეზონში და 5 და 4-მცველიანი ტაქტიკა მოსინჯა. რომელში უფრო კომფორტულად იგრძენი თავი?***

– სიომინის სრულად მჯერა. მწვრთნელი იტყვის, რომელ პოზიციაზეა საჭირო ჩემი თამაში და მეც ამას გავაკეთებ. ვიმედოვნებ, რომ ვედრან ჩორლუკა მალე დაგვიბრუნდება. ის პრემიერლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მცველია. ეს კონკურენციასაც გაზრდის და ითამაშებს ის, ვინც უკეთეს ფორმაში იქნება.

***– მიმდინარე სეზონში დაცვის გარდა, შეტევაშიც შედეგიანი ხარ.***

– მთავარია, სწორ მომენტში სწორ ადგილას იდგე. მაღალი ვარ და შემიძლია ეს გამოვიყენო. მაგალითად, სტანდარტების დროს და დავეხმარო გუნდს გოლით, მაგრამ დაცვაში თამაში ყველაზე მეტად მიყვარს.

***– რამდენად პრინციპული იყო შენთვის რუბინთან მატჩი?***

– ყაზანში ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩი იყო. კლუბის შეცვლის შემდეგ რუბინის წინააღმდეგ პირველად ვითამაშე და ამას დაემატა ისიც, რომ ბოლო წუთზე



გატანილი გოლით ლოკომოტივს ქულა გადავურჩინე. ეს ჩემს კარიერაში ყველაზე დაუვიწყარი მომენტია.

***– შეადარეთ იური სიომინი და ყურბან ბერდიევი.***

– ორივე შესანიშნავი მწვრთნელია. რუსეთში ძალიან დიდ პატივს სცემენ. ისინი სრულიად განსხვავდებიან ერთმანეთისგან და განსხვავებული მიდგომები აქვთ. სიომინმა და ბერდიევმა ჩემპიონატში დიდი ნაბიჯები გადადგეს. ისინი გენიოსები არიან.

***– ლოკომოტივში ყველაზე ახლო ურთიერთობა ვისთან გაქვს?***

– დიმა ტარასოვთან და ალან კასაევთან. ჩვენ ძალიან ბევრს ვხუმრობთ. ზოგადად, ლოკო ძალიან კარგი გუნდია. ერთი ოჯახივით ვართ, არა მხოლოდ მოედანზე, არამედ გასახდელსა და სტადიონს მიღმა. როგორც იქნა, ჩემი ადგილი ვიპოვე და ძალიან ბედნიერი ვარ.

***– ევროპაში თამაშზე ოცნებობ?***

– იტალიური ფეხბურთის გულშემატკივარი ვარ და დიდი ქომაგი ტურინის იუვენტუსის, თუმცა მათ ჯერ კიდევ არ გამოუჩენიათ ჩემ მიმართ ინტერესი.

***– იტალიის ნაკრები მუნდიალის გარეშე.***

– ვნახე შვედეთთან ბოლო თამაში და შეშფოთებული ვიყავი. შეუძლებელი იყო გოლის გატანა. თუმცა, ამით ფეხბურთი არ დასრულებულა.

***– იტალიის გარდა, საქართველოც ვერ ითამაშებს რუსეთში. რა მოხდა?***

– საქართველოში ძალიან ცოტა ფეხბურთელია. ჩვენ იმდენი მოთამაშე რომ გვყავდეს, რამდენიც რუსეთშია, 3 ეროვნულ გუნდს გავაკეთებდით. ძალიან ძლიერი შემტევი სამეული გვყავს ჯანო, ოქრიაშვილი და ჭანტურია. სხვათა შორის, ყველა რუსეთში თამაშობს. მაგრამ თუ რომელიმე დაშავდება, შემცვლელი არ გვყავს. ასე მოხდა შესარჩევი ციკლის ბოლო მატჩებში. ოქრი და ჭანტურია ტრავმირებულები იყვნენ და ჩვენი შეტევა „კბილების“ გარეშე დარჩა.

***– ინსტაგრამზე პატარა ქალიშვილის ფოტოებს ხშირად აქვეყნებთ.***

– ოჯახი ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. ჩემი მეუღლე და ჩემი შვილი ძალიან მიყვარს.

***– როგორია საბა კვერკველიას ჩვეულებრივი დღე?***

– თითქმის ყოველდღე ერთი და იგივე გრაფიკი მაქვს. დილით ვსადილობ ვარჯიშამდე, შემდეგ სახლში ვბრუნდები და როგორც წესი, ამ დროს ჩემს შვილს სძინავს. როდესაც იღვიძებს, მივდივართ მაღაზიაში, ბავშვების გასართობ ცენტრებში, რესტორანში...

***– რა არის თქვენი ჰობი, კოლექციას ხომ არ აგროვებ?***

– ლოკომოტივის გამარჯვებებს ვაგროვებ!

***– ახლა განსხვავებული კითხვები იქნება და სწრაფად უნდა გვიპასუხოთ. ამ მომენტში მსოფლიოს საუკეთესო გუნდი?***

– ესპანეთი. როგორც ჩვენი მირანჩუკია საუკეთესო ამჟამად...

***– მირანჩუკი?***

– ორივე ძმას ძალიან მაგარი სათამაშო სტილი აქვთ. ვფიქრობ, რუსეთში საუკეთესოები გახდებიან. მათ გიჟური პოტენციალი გააჩნიათ.

***– თქვენი საყვარელი ფრაზა.***

– მიყვარს სიტყვა – კარგი. როდესაც ვინმე რაღაცას მეუბნება და მოსმენა არ მინდა, ვეუბნები ოქეი, კარგი. ეს ნიშნავს, რომ ერთ ყურში შევუშვი და მეორედან გავუშვი.

***– როგორ ზრუნავთ წვერზე და რატომ გაქვთ?***

– როდესაც არ მაქვს, ამბობენ, რომ 5 წლით პატარა ვარ. როდესაც დავიღლები, წვერს აღარ გავიზრდი.

***– მსოფლიოს საუკეთესო ცენტრალური მცველი?***

– სერხიო რამოსი.

***– რას ნიშნავს გამოთქმა „ვაჰ“. ქართულად როგორ ითარგმნება?***

– აღფრთოვანების ერთგვარი გამოხატვაა.

***– ერთი წუთი კითხვები ქალებზე: როგორი ქალები მოგწონთ ქართველებს?***

– ერთგული. ქმარი მუშაობს, ხოლო ცოლი სახლში მოთმინებით ელოდება.

***– საუკეთესო ადგილი დედამიწაზე?***

– რა თქმა უნდა, საქართველო! ჩემი საყვარელი ქალაქი თბილისია. ასევე, ყველას ვურჩევ, რომ წავიდნენ მცხეთაში, რომელიც დედაქალაქიდან შორს არ მდებარეობს. ჩვენ გვაქვს ბევრი ტაძარი, ეკლესია და განსაცვიფრებელი ბუნება.

***– რას არ გააკეთებდით არასდროს?***

– პარაშუტით არასდროს გადმოვხტებოდი. სიმაღლის მეშინია. ვხუმრობ, ქართველებს არაფრის ეშინიათ!

***– ყველაზე მეტად რომელი ტიტულის მოგება გინდათ?***

– რუსეთის ჩემპიონატის. ამ მომენტში ეს ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია.

***– დაახასიათეთ საკუთარი თავი 3 სიტყვით.***

– კეთილი, უბრალო, კარგი ხასიათი. ასევე, ვიტყვი, რომ ძალიან მიყვარს ფეხბურთი.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**



## შედეგები

### 2 დეკემბერი

#### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ჩელსი-ნიუკასლი ........ 3:1
ბრაიტონი-ლივერპული ........ 1:5
ევერტონი-ჰადერსფილდი ........ 2:0
ლესტერი-ბარნლი ........ 1:0
სტოკი-სუონსი ........ 2:1
უოტფორდი-ტოტენჰემი ........ 1:1
ვესტ ბრომვიჩი-კრ.პალასი ........ 0:0
არსენალი-მანჩესტერი ........ 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 14 | 13 | 1 | 0 | 44-9 | 40 |
| 2.მანჩესტერი | 15 | 11 | 2 | 2 | 35-9 | 35 |
| 3.ჩელსი | 15 | 10 | 2 | 3 | 28-12 | 32 |
| 4.ლივერპული | 15 | 8 | 5 | 2 | 33-19 | 29 |
| 5.არსენალი | 15 | 9 | 1 | 5 | 29-19 | 28 |
| 6.ტოტენჰემი | 15 | 7 | 4 | 4 | 23-13 | 25 |
| 7.ბარნლი | 15 | 7 | 4 | 4 | 14-12 | 25 |
| 8.უოტფორდი | 15 | 6 | 4 | 5 | 25-26 | 22 |
| 9.ლესტერი | 15 | 5 | 5 | 5 | 20-20 | 20 |
| 10.ევერტონი | 15 | 5 | 3 | 7 | 19-28 | 18 |
| 11.ბრაიტონი | 15 | 4 | 5 | 6 | 14-19 | 17 |
| 12.საუთჰემპტონი | 14 | 4 | 4 | 6 | 14-17 | 16 |
| 13.სტოკი | 15 | 4 | 4 | 7 | 18-30 | 16 |
| 14.ნიუკასლი | 15 | 4 | 3 | 8 | 14-22 | 15 |
| 15.ჰადერსფილდი | 15 | 4 | 3 | 8 | 9-26 | 15 |
| 16.ბორნმუთი | 14 | 4 | 2 | 8 | 12-16 | 14 |
| 17.ვესტ ბრომვიჩი | 15 | 2 | 7 | 6 | 12-21 | 13 |
| 18.კრ.პალასი | 15 | 2 | 4 | 9 | 8-25 | 10 |
| 19.ვესტ ჰემი | 14 | 2 | 4 | 8 | 12-30 | 10 |
| 20.სუონსი | 15 | 2 | 3 | 10 | 8-18 | 9 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბოლტონი-ბარნსლი ........ 3:1
ბრენტფორდი-ფულემი ........ 3:1
დერბი-ბარტონი ........ 1:0
იფსვიჩი-ნოტინგემი ........ 4:2
მილუოლი-შეფილდი ........ 3:1
პრესტონი-ქპრ ........ 1:0
სანდრლენდი-რედინგი ........ 1:3
უენსდი-ჰალი ........ 2:2
ბრისტოლი-მიდლსბრო ........ 2:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ბარსელონა-სელტა ........ 2:2
ატლეტიკო-სოსიედადი ........ 2:1
სევილია-დეპორტივო ........ 2:0
ბილბაო-რეალი ........ 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 14 | 11 | 3 | 0 | 36-7 | 36 |
| 2.ვალენსია | 13 | 9 | 4 | 0 | 33-12 | 31 |
| 3.ატლეტიკო | 14 | 8 | 6 | 0 | 23-7 | 30 |
| 4.რეალი | 14 | 8 | 4 | 2 | 25-11 | 28 |
| 5.სევილია | 14 | 9 | 1 | 4 | 19-14 | 28 |
| 6.ვილიარეალი | 13 | 6 | 3 | 4 | 21-15 | 21 |
| 7.სოსიედადი | 14 | 5 | 4 | 5 | 28-26 | 19 |
| 8.სელტა | 14 | 5 | 3 | 6 | 26-21 | 18 |
| 9.ბეტისი | 13 | 5 | 3 | 5 | 23-27 | 18 |
| 10.ხირონა | 13 | 4 | 5 | 4 | 16-19 | 17 |
| 11.ლეგანესი | 13 | 5 | 2 | 6 | 9-12 | 17 |
| 12.ხეტაფე | 13 | 4 | 4 | 5 | 19-15 | 16 |
| 13.ესპანიოლი | 13 | 4 | 4 | 5 | 10-15 | 16 |
| 14.ლევანტე | 14 | 3 | 7 | 4 | 14-20 | 16 |
| 15.ბილბაო | 14 | 3 | 5 | 6 | 14-18 | 14 |
| 16.ეიბარი | 13 | 4 | 2 | 7 | 13-26 | 14 |
| 17.დეპორტივო | 14 | 3 | 3 | 8 | 17-27 | 12 |
| 18.მალაგა | 14 | 2 | 2 | 10 | 11-28 | 8 |
| 19.ლას პალმასი | 13 | 2 | 1 | 10 | 10-32 | 7 |
| 20.ალავესი | 13 | 2 | 0 | 11 | 7-22 | 6 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

უესკა-კორდობა ........ 3:1
რაიო-გრანადა ........ 1:0
რეუსი-ბარსელონა ბ ........ 2:1
ლორკა-ოვიედო ........ 0:2

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ბაიერნი-ჰანოვერი ........ 3:1
ჰოფენჰაიმი-ლაიპციგი ........ 4:0
ვერდერი-შტუტგარტი ........ 1:0
ლევერკუზენი-დორტმუნდი ........ 1:1
მაინცი-აუგსბურგი ........ 1:3
შალკე-კიოლნი ........ 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 14 | 10 | 2 | 2 | 34-11 | 32 |
| 2.ლაიპციგი | 14 | 8 | 2 | 4 | 22-19 | 26 |
| 3.შალკე | 14 | 7 | 4 | 3 | 22-16 | 25 |
| 4.გლადბახი | 13 | 7 | 3 | 3 | 23-22 | 24 |
| 5.ჰოფენჰაიმი | 14 | 6 | 5 | 3 | 25-18 | 23 |
| 6.დორტმუნდი | 14 | 6 | 4 | 4 | 34-21 | 22 |
| 7.აუგსბურგი | 14 | 6 | 4 | 4 | 21-16 | 22 |
| 8.ლევერკუზენი | 14 | 5 | 6 | 3 | 27-19 | 21 |
| 9.აინტრახტი | 13 | 5 | 4 | 4 | 14-13 | 19 |
| 10.ჰანოვერი | 14 | 5 | 4 | 5 | 17-19 | 19 |
| 11.ჰერტა | 13 | 4 | 5 | 4 | 18-19 | 17 |
| 12.შტუტგარტი | 14 | 5 | 2 | 7 | 13-17 | 17 |
| 13.მაინცი | 14 | 4 | 3 | 7 | 15-22 | 15 |
| 14.ვოლფსბურგი | 13 | 2 | 8 | 3 | 17-19 | 14 |
| 15.ჰამბურგი | 14 | 4 | 2 | 8 | 13-20 | 14 |
| 16.ფრაიბურგი | 14 | 2 | 6 | 6 | 9-25 | 12 |
| 17.ვერდერი | 14 | 2 | 5 | 7 | 9-16 | 11 |
| 18.კიოლნი | 14 | 0 | 3 | 11 | 6-27 | 3 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

დუისბურგი-ფიურტი ........ 2:0
ნიურნბერგი-ზანდჰაუზენი ........ 1:0
კილი-ფორტუნა ........ 2:2

**იტალია. სერია ა**

ტორინო-ატალანტა ........ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 15 | 12 | 2 | 1 | 35-10 | 38 |
| 2.იუვენტუსი | 15 | 12 | 1 | 2 | 41-14 | 37 |
| 3.ინტერი | 14 | 11 | 3 | 0 | 28-10 | 36 |
| 4.რომა | 14 | 11 | 1 | 2 | 27-10 | 34 |
| 5.ლაციო | 13 | 9 | 2 | 2 | 33-15 | 29 |
| 6.სამპდორია | 13 | 8 | 2 | 3 | 27-18 | 26 |
| 7.მილანი | 14 | 6 | 2 | 6 | 19-18 | 20 |
| 8.ბოლონია | 14 | 6 | 2 | 6 | 17-17 | 20 |
| 9.კიევო | 14 | 5 | 5 | 4 | 17-21 | 20 |
| 10.ატალანტა | 15 | 5 | 5 | 5 | 21-19 | 20 |
| 11.ტორინო | 15 | 4 | 8 | 3 | 19-21 | 20 |
| 12.ფიორენტინა | 14 | 5 | 3 | 6 | 23-19 | 18 |
| 13.კალიარი | 14 | 5 | 0 | 9 | 13-24 | 15 |
| 14.უდინეზე | 13 | 4 | 0 | 9 | 18-24 | 12 |
| 15.კროტონე | 14 | 3 | 3 | 8 | 11-27 | 12 |
| 16.სასუოლო | 14 | 3 | 2 | 9 | 8-24 | 11 |
| 17.ჯენოა | 14 | 2 | 4 | 8 | 12-20 | 10 |
| 18.სპალი | 15 | 2 | 4 | 9 | 13-26 | 10 |
| 19.ვერონა | 14 | 2 | 3 | 9 | 12-29 | 9 |
| 20.ბენევენტო | 14 | 0 | 0 | 14 | 6-34 | 0 |

**იტალია. სერია ბ**

ბრეშა-სალერნიტანა ........ 2:0
კრემონეზე-სპეცია ........ 1:0
ნოვარა-ემპოლი ........ 1:1
პარმა-პრო ვერჩელი ........ 3:0
პესკარა-ტერნანა ........ 3:3
ფოჯა-ჩიტადელა ........ 1:3
ფროზინონე-ჩეზენა ........ 3:3
პალერმო-ვენეცია ........ 0:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

სტრასბური-პსჟ ........ 2:1
ლილი-ტულუზა ........ 1:0
მონაკო-ანჟე ........ 1:0
ნიცა-მეცი ........ 3:1
რენი-ამიენი ........ 2:0
ტრუა-გენგამი ........ 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 15 | 13 | 2 | 0 | 47-10 | 41 |
| 2.მარსელი | 15 | 9 | 4 | 2 | 31-18 | 31 |
| 3.ლიონი | 15 | 8 | 5 | 2 | 38-17 | 29 |
| 4.მონაკო | 15 | 9 | 2 | 4 | 36-16 | 29 |
| 5.ნანტი | 15 | 8 | 2 | 5 | 14-15 | 26 |
| 6.კაენი | 15 | 7 | 2 | 6 | 10-14 | 23 |
| 7.მონპელიე | 15 | 5 | 6 | 4 | 12-8 | 21 |
| 8.რენი | 15 | 6 | 3 | 6 | 19-19 | 21 |
| 9.ამიენი | 15 | 6 | 3 | 6 | 15-15 | 21 |
| 10.დიჟონი | 16 | 6 | 3 | 7 | 24-27 | 21 |
| 11.ბორდო | 16 | 5 | 5 | 6 | 22-23 | 20 |
| 12.სტ.ეტიენი | 15 | 5 | 4 | 6 | 16-23 | 19 |
| 13.ტრუა | 15 | 5 | 3 | 7 | 16-20 | 18 |
| 14.ნიცა | 15 | 5 | 2 | 8 | 17-26 | 17 |
| 15.ტულუზა | 15 | 4 | 4 | 7 | 14-22 | 16 |
| 16.გენგამი | 15 | 4 | 4 | 7 | 14-23 | 16 |
| 17.სტრასბური | 15 | 3 | 6 | 6 | 17-26 | 15 |
| 18.ლილი | 15 | 4 | 3 | 8 | 14-23 | 15 |
| 19.ანჟე | 15 | 2 | 8 | 5 | 18-25 | 14 |
| 20.მეცი | 15 | 1 | 1 | 13 | 5-29 | 4 |

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

დენ ჰააგი-გრონინგენი ........ 0:3
ტვენტე-აიაქსი ........ 3:3
ტილბურგი-ერაკლესი ........ 3:1
ფეინოორდი-ვიტესი ........ 1:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

მორეირენშე-მარიტიმუ ........ 1:1
ტონდელა-რიუ ავე ........ 1:3
შავიში-ბოავიშტა ........ 0:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

დინამო-როსტოვი ........ 2:0
ზენიტი-ურალი ........ 2:1
ლოკომოტივი-რუბინი ........ 1:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლოზანა-ბაზელი ........ 1:4
ლუცერნი-სიონი ........ 2:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

პარტიკი-ჰიბერნიანი ........ 0:1
როსი-დანდი ........ 0:2
სელტიკი-მოზერველი ........ 5:1
სტ.ჯონსონი-კილმანროკი ........ 1:2
ჰართსი-ჰამილტონი ........ 1:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ვოლფსბერგერი-რაპიდი ........ 0:0
ადმირა-სტ.პოლენი ........ 1:0
მატერსბურგი-ლინცერი ........ 1:0
ალტახი-შტურმი ........ 1:2

**ბელგია. ა დივიზიონი**

ლოკერენი-ანდერლეხტი ........ 1:2
კორტრაიკი-ბევერენი ........ 4:1
მუსკრონი-სტ.ტრუიდენი ........ 1:1
მეხელენი-გენკი ........ 3:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ასტერასი-კერკირა ........ 4:0
ქსანთი-პაოკი ........ 0:3
ოლიმპიაკოსი-აპოლონი ........ 3:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

აკჰისარი-მალათია ........ 0:0
ქარაბუქი-გიოზთეფე ........ 0:1
ბეშიქთაში-გალათასარაი ........ 3:0

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

დუკლა-ტეპლიცე ........ 0:2
ბრნო-ზლინი ........ 1:1
კარვინა-ბოჰემიანსი 1905 ........ 1:0
ლიბერეცი-სიგმა ........ 1:0
სლოვაცკო-იიჰლავა ........ 2:1
პლზენი-იაბლონეცი ........ 2:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

პლოცკი-არკა ........ 2:0
ზაგლებიე-ნეცეჩა ........ 4:2
სანდეცია-ლეგია ........ 2:2

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ჩერნომორეცი-ზორია ........ 1:1
შახტარი-ვერესი ........ 2:0

**დანია. სუპერლიგა**

ლუნგბიუ-ოლბორგი ........ 1:2

# დინამომ ქუთაისი დაამარცხა და უდანაკარგოდ ლიდერობს

**დინამო-ქუთაისი 84:76**
**(28:26, 12:21, 23:12, 21:17)**

სანაკრებო ფანჯრის შემდეგ სუპერლიგის გათამაშება განახლდა. თბილისის ოლიმპიურ სასახლეში ერთმანეთს გასული სეზონის ფინალისტები და დაკარგული ქულებით მიმდინარე სუპერლიგის ლიდერები – დინამო და ქუთაისი შეხვდნენ.

შეხვედრა საკმაოდ საინტერესო და დაძაბული გამოდგა. მიმდინარე ჩემპიონატის ერთადერთ დაუმარცხებელ გუნდ დინამოს ქუთაისელები დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ. პირველი პერიოდი თბილისელთა მცირე უპირატესობით – 28:26 დასრულდა, ხოლო მეორე ათწუთეულში იმერულმა კლუბმა იძალა და გუნდური თამაშის წყალობით ლიდერობას დაეპატრონა. მეორე მეოთხედი სტუმართა დამაჯერებელი გამარჯვებით დასრულდა და დიდ შესვენებაზე ქუთაისი 47:40 დაწინაურდა.

მეორე ტაიმის დასაწყისიდან დინამოელებმა თამაში გამოასწორეს. დაცვისა და სწრაფი, შედეგიანი შეტევების წყალობით ლიდერობა დაიბრუნეს და გადამწყვეტი პერიოდის წინ უკვე თავად გალიდერდნენ – 63:59. ბოლო პერიოდში დინამოელებმა მოახერხეს უპირატესობის შენარჩუნება და ჩემპიონატში ზედიზედ მე-6 გამარჯვება მოიპოვეს – 84:76.

დინამოს 25 ქულით ლევან ფაცაციამ ულიდერა. 12 ქულა და 6 მოხსნა დაგროვდა მიხეილ ბერიშვილის ანგარიშზე. ქუთაისში 17 ქულით ბომბარდირი გახდა დეჟან რაითი, მეორე ლეგიონერმა ჯონათან ლიმ შეხვედრა 14 ქულით დაასრულა.

***ირაკლი ხოშტარია, დინამოს მთავარი მწვრთნელი:***

– ვერ ვიტყვი, რომ კარგად ვითამაშეთ. ამ ეტაპისთვის, არ დაგიმალავთ და ჩვენთვის მთავარია შედეგი და არა თამაშის ხარისხი. თუმცა მომავლისთვის ვეცდებით მეტს და იმედია, სხვა გუნდებიც მოუმატებენ. ბოლო თამაში გვაქვს დარჩენილი ევროთასებზე და მის შემდეგ სრულ კონცენტრაციას მოვახდენთ სუპერლიგაზე.

***კოტე ტუღუში, ქუთაისის მთავარი მწვრთნელი:***

– რთული თამაში იყო, ამ 3-კვირიანი შესვენების შემდეგ რამდენიმე მოთამაშე გვაკლდა, რადგან ნაკრებში იყვნენ გამოძახებულები. ალბათ ვერ მოვემზადეთ სათანადოდ მატჩისათვის. თუმცა, მაინც საინტერესო თამაში გამოვიდა. ბოლომდე ვიბრძოლეთ, თუმცა დასანანი შეცდომები დავუშვით, განსაკუთრებით მე-3 პერიოდის დასაწყისში. დინამო ძალიან ძლიერი გუნდია. თავიდან გვიწევს დაწყება, ასე ვთქვათ, შემდეგი ტური იწყება და ყველა თამაში მნიშვნელოვანია.

**მგზავრები-კაკტუსი 73:95**
**(18:19, 8:23, 26:28, 21:25)**

სუპერლიგის მორიგ მატჩში ცხრილის ქვედა ნახევარში მყოფი გუნდები – კაკტუსი და მგზავრები შეხვდნენ. ორივე მათგანს დღემდე 2-2 გამარჯვება ჰქონდა მოპოვებული და წარმატების შემთხვევაში ცხრილში პირად უპირატესობას მოიპოვებდა. ორივე გუნდის შემადგენლობაში თითო ახალ ლეგიონერს ჰქონდა დებიუტი – კაკტუსში ჯონ მიტჩელს, ხოლო მგზავრებში – ადრიან ბოუის.

ორივე მათგანმა რიგიანად ითამაშა, თუმცა საბოლოოდ მატჩი ვერ გამოდგა დაძაბული. თანაბარი პირველი პერიოდის შემდეგ არჩილ ჟღენტის გაწვრთნილმა კაკტუსელებმა ყველა სათამაშო რგოლში მიაღწიეს დომინირებას და მეორე მეოთხედის 23:8 მოგების შემდეგ დიდ შესვენებაზე 16-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ.

ბუბა ბერიშვილის გაწვრთნილ მგზავრებს თუ მოგების ამბიცია და ძალა ჰქონდა, მესამე პერიოდში უნდა ელონა რამე, თუმცა ეს ვერ შეძლო. კაკტუსი აგრძელებდა წარმატებულ თამაშს და მესამე პერიოდის მოგებითა და 18 ქულით დაწინაურების შემდეგ, შეხვედრის ბედი სათავისოდ გადაწყვიტეს.

საბოლოოდ, მატჩი კაკტუსელთა გამარჯვებით – 95:73 დასრულდა, რაშიც 27 ქულით სოლიდური წილი დაიდო დავით ლომიძემ, რომელმაც ჯამში 7 სამქულიანი ჩააგდო. 21 ქულა მოაგროვა დეანდრე პარკსმა, ვეტერანმა ანატოლი ბოისამ კი თავი 12 ქულას მოუყარა. მგზავრებში 24 ქულით საუკეთესო იყო კახა ჯინჭარაძე, დებიუტანტმა ადრიან ბოუიმ კი შეხვედრა 14 ქულით დაასრულა.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*



## ქრთამის აღების ფაქტზე ფოთის მერიის თანამშრომელი დააკავეს



დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, ძეგლთა დაცვის, სკოლამდელი და სკოლის გარეშე აღზრდის დაწესებულებათა კოორდინაციის სამსახურის კულტურის და ძეგლთა დაცვის განყოფილების მთავარი სპეციალისტი გიორგი ნ. დააკავეს.

ამის შესახებ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა უცხო ქვეყნის მოქალაქეს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბალანსზე რიცხული მიწის ნაკვეთის პირდაპირი წესით შესყიდვაში და შემდგომ მშენებლობის ნებართვის დაჩქარებული წესით გაცემაში დახმარების სანაცვლოდ, ქრთამის სახით მოსთხოვა მიწის ნაკვეთის ღირებულების 10% – 24.000 ლარი, საიდანაც წინასწარ მოითხოვა თანხის ნაწილი – 8.000 ლარი.

სუს-ის ცნობით, 2017 წლის I დეკემბერს გიორგი ნ.-მ მოქალაქისგან ქრთამის სახით მოთხოვნილი 8.000 ლარი აიღო, როდესაც ის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ბრალდებულის სახით დააკავეს.

გამოძიება დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახედ 7-დან 11 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

**ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მე-19 ხელოვნების სკოლის პედაგოგს, საქართველოს დამსახურებულ არტისტს**



**ალექსანდრე ქუთათელაძეს**

**ბატონი ალექსანდრე, ჩვენო ბერმუხავ, სულითა და გულით გილოცავთ ღირსშესანიშნავ თარიღს – დაბადებიდან 80 წლისთავს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და უშრეტ ენერგიას მომავალი თაობის და ყველა თქვენი მოსიყვარულე ადამიანის გულის გასახარებლად.**

*პატივისცემით, მოწიწებითა და დიდი სიყვარულით,*
*მე-19 ხელოვნების სკოლის მოსწავლეები, პედაგოგები და დირექცია*

## საზოგადოება

# გარემოს დაცვის კონტროლის სისტემა მთლიანად მოშლილია

დასაწყისი მე-5 გვერდზე

– ამ მხრივაც თბილისში მეტად არასასურველი მდგომარეობაა, რაც ფაქტორთა მთელი კომპლექსითაა განპირობებული. თუმცა, გარკვეული იმედის მომცემი პროცესი დაიწყო ა.წ. 15 აგვისტოდან ხმაურის საწინააღმდეგო ახალი რეგულაციის ამოქმედების შემდეგ. უკვე გამოიკვეთა გარკვეული დადებითი ტენდენცია, კერძოდ, შემცირდა ღამის საათებში კაფე-რესტორნების მიერ გენერირებული ხმაურის დონე, რასაც მოსახლეობის ჩივილების შემცირება ადასტურებს.

***– ვერ დაგეთანხმებით, ხმაური ისევ არის. ტექნიკური რეგულაცია ნაკლოვანი და გაუმართავია?***

– დღევანდელი ხელისუფლება კომპლექსურად უდგება საკითხს და იმედი მაქვს, გაითვალისწინებენ მოსახლეობის ჩივილს.

***– რამდენად ზემოქმედებს ადამიანზე გადამეტებული ხმაური, მუსიკა, უძილობა? ანგრევს თუ არა ეს ფაქტორები ადამიანის ფსიქიკურ და ინტელექტუალურ შესაძლებლობებს?***

– ხმაურის მოქმედებას ახასიათებს ორი ძირითადი მიმართულება: სპეციფიკური – უშუალოდ სმენის ორგანოზე და ზოგადბიოლოგიური – ორგანიზმის სხვადასხვა ორგანოსა და ფუნქციაზე. სმენის ორგანოზე მოქმედების შედეგად შესაძლებელია სმენის ორმხრივი დაქვეითება. ხმაურის მოქმედების შედეგად ცვლილებები ვითარდება ცენტრალურ ნერვულ სისტემაში – აღინიშნება თავის ტკივილი, პერიოდული თავბრუსხვევა, მეხსიერების დაქვეითება, მომატებული დაქანცვა, ემოციური ლაბილობა, ძილის რეჟიმის დარღვევა; მცირდება შემოქმედებითი ნაყოფიერება, გონებრივი მუშაობისუნარიანობა.

გამოვლენილი ცვლილებების ხარისხი კავშირშია ხმაურის დონესთან. საერთოდ, ტერმინები – ბგერა, ხმაური, მუსიკა პირობითია, რადგან ხმაურად ითვლება ნებისმიერი ბგერა, რომელიც ხელს უშლის სასურველი ბგერითი სიგნალის აღქმას, სრულფასოვან დასვენებას, მუშაობას და იწვევს ადამიანის ორგანიზმზე არასასურველ, გამაღიზიანებელ ან მავნე მოქმედებას.

***– ავტომობილების ტექდათვალიერებებმაც მომავალი წლისთვის გადაიწია, ხმაურიანი მანქანების მართვა აიკრძალება?***

– რა თქმა უნდა. ავტომობილების ტექდათვალიერების აღდგენა ერთი კარგი, მნიშვნელოვანი ეფექტის მქონე ნაბიჯი იქნება, მაგრამ ახლაც შეიძლებოდა ამის გაკეთება. ადრეც, როდესაც თბილისში საწარმოები მთელი დატვირთვით მუშაობდა, გარემოს დამაბინძურებელი 70-80%-ის დონეზე მაინც ავტომობილების გამონაბოლქვი აირები იყო. ახლა ისეთი აღარაა, უფრო ნორმალური მანქანებია, მაგრამ ავტომობილების რაოდენობამ მკვეთრად მოიმატა და დიდი ქალაქების ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაში მათი წილიც მეტია.

***– მით უმეტეს, თუ ბენზინი და დიზელი არ მოწმდება, მაშინ?***

– ნელ-ნელა, იმედი მაქვს, ეს პრობლემაც გადაიჭრება. ქვეყანაში დაწყებულია რეგულაციებისადმი სერიოზულად მიდგომის პროცესი და იმედი მაქვს, ეს საავტომობილო საწვავის ხარისხის კონტროლსაც შეეხება.

ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულება ითვალისწინებს ეროვნული კანონმდებლობის ეტაპობრივად შესაბამისობაში მოყვანას ევროპულ კანონმდებლობასთან. ამ მხრივ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროშიც მიმდინარეობს ეროვნული ნორმატიული ბაზის (ტექნიკური რეგლამენტების) ევროპულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის სამუშაოები, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, სასურველია მუშაობის ტემპის გაზრდა.

# კროსვორდი



1. პატარა ჭრელი ჩიტი; 2. ყაზახეთის დედაქალაქი 3. მარჩელო ...; 4. ხელზე მოვაჭრე ძველ თბილისში; 5. მსახიობი; 6. ყვავილი; 7. კომში; 8. თავდები; 9. მდინარე ციმბირში; 10. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში; 11. ტყის მსხალი; 12. ომის უკუსიდიდე (ფიზ.); 13. პოლიციის წინამორბედი; 14. ხანა, ეპოქა; 15. ცირკის მოედანი; 16. ზმნის წარსული დრო; 17. მიწების მორწყვის სისტემა; 18. საწერი ქაღალდის რაოდენობის საზომი ერთეული; 19. სინათლის სიკაშკაშის ერთეული; 20. ... გიბსონი; 21. ფრანგული საწებლიანი საჭმელი; 22. საოპერო სოლო სიმღერა; 23. შვლის ნაშიერი; 24. მაუგლის მეგობარი გველი; 25. ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლი ამჟამინდელ თურქეთში; 26. ხაჭაპურის სახეობა; 27. ესპანურ-პორტუგალიური სამანძიანი ხომალდი; 28. აზრის გამოთქმა, გამოხმაურება; 29. შტატი აშშ-ში; 30. ნამუსი; 31. მწვავე ინფექციური დაავადება.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი**

**შვეულად:** 1. ბარამბო; 2. დეფიციტი; 3. ყაყაჩო; 4. წინდა; 5. სერფინგი; 8. მონიუშკო; 12. მუხა; 13. დიაგრამა; 14. ოკენცე; 16. მელიავა; 18. მალტა; 20. ტახო.

**თარაზულად:** 6. შანსონიე; 7. ახალციხე; 8. მარიხი; 9. ომალო; 10. დიაგნოზი; 11. პლომბირი; 15. პინაკოთეკა; 17. საირმე; 19. ცურტაველი; 21. მარჩილი; 22. ჩატურანგა; 23. ჰოოპუნა.

# ასტროპროგნოზი

## 4 დეკემბერი



**ვერძი** – მოსალოდნელია იმედგაცრუება და გეგმების შეცვლა. კომერციული ოპერაციები თქვენთვის არასასურველი კუთხით წარიმართება. **კურო** – მოთმინებით აღიჭურვეთ. მალე თქვენს ცხოვრებაში ჰარმონიული პერიოდი დადგება. **ტყუპები** – დაისვენეთ, ენერგია აღიდგინეთ. საქმის გარჩევები სხვა დროისათვის გადადეთ. **კირჩხიბი** – ყურადღებით მოეკიდეთ ჯანმრთელობას. შესაძლოა გაგიმწვავდეთ ქრონიკული დაავადებები. **ლომი** – კეთილისმყოფელი დღეა აქტიური დასვენებისათვის. მძიმე ფიზიკურ შრომას ერიდეთ. **ქალწული** – ახალი საქმის დაწყება, დოკუმენტებზე ხელის მოწერა რეკომენდებული არ არის. სიყვარულში იმედგაცრუება გელით. **სასწორი** – ნუ ეცდებით, ყველა საქმე ერთბაშად გააკეთოთ. სასურველი შედეგის მისაღებად მოთმინებაა საჭირო. **ღრიანკალი** – მთლიანობაში, სავსებით დამაკმაყოფილებელი დღეა. გელით ახალი ურთიერთობები, საინტერესო ადამიანებთან შეხვედრა. **მშვილდოსანი** – სასიცოცხლო პოტენციალი საკმაოდ მაღალია. იყავით წინდახედული, რადგანაც შესაძლოა დღეს რამდენიმე საქმის ერთდროულად კეთება მოგიხდეთ. **თხის რქა** – საღად აზროვნებთ. პარტნიორის ღირსებების სათანადოდ შეფასება არ გიჭირთ. ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. **მერწყული** – ცდუნებებით აღსავსე დღეა. გამოიჩინეთ სიმტკიცე და ნებისყოფა. გაუაზრებელ გადაწყვეტილებას ნუ მიიღებთ. **თევზები** – სამოგზაუროდ წასასვლელად, ქალაქგარეთ გასასეირნებლად შესაფერისი დღეა. ნაცნობობის წრე ფართოვდება.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**



# ოთო ნემსაძემ ახალი სიმღერა ჩაწერა

მომღერალმა ოთო ნემსაძემ დიდი ხნის ნატვრა აისრულა და საქართველოზე სიმღერა იმღერა.

სიმღერის სახელწოდებაა „საქართველო“ და მისი ავტორი კომპოზიტორი ზურაბ მჟავიაა. სიმღერის არანჟირება კი ბეთხო სტუდიო ლაბს ეკუთვნის.

სიმღერა ინტერნეტში უკვე გავრცელდა და მას ბევრი მოწონება და დადებითი კომენტარი აქვს.

**ოთო ნემსაძე:**

– სულ მინდოდა მემღერა ჩემს ქვეყანაზე და ეს ნატვრა ბატონმა ზურა მჟავიამ ამიხდინა... ბედნიერი ვარ! იმედი მაქვს, მომავალში ნაკლები ტკივილი ექნება ჩვენს ქვეყანას.

# ალექსანდრე ზაზარაშვილმა უკრაინაში გრანპრი მოიგო

უკრაინაში პირველად ჩატარდა საერთაშორისო ვოკალური კონკურსი, სადაც ქართველმა მომღერალმა ალექსანდრე ზაზარაშვილმა მთავარი პრიზი მოიგო.



საქართველოს წარმომადგენელმა გრანპრი დაიმსახურა. მომღერალმა კონკურსის ყველა მონაწილეს აჯობა და თავისი უნიკალური შესაძლებლობებით ლიდერობა არავის დაუთმო.

**ალექსანდრე ზაზარაშვილი:**

– ვუჰუ, გრანპრი ჩვენია. საქართველომ გაიმარჯვა, ანუ მე! გილოცავთ ყველას საქართველოს და ჩემ გამარჯვებას უკრაინაში!



# „ჩვენ ვარსკვლავები ვართ“ ლაშა გუჯაბიძემ დატოვა

მუსიკალური პროექტი „ჩვენ ვარსკვლავები ვართ“ ნელ-ნელა დასასრულისკენ მიდის.

მეექვსე კონცერტზე კონკურსანტები ჟიურის და მსმენელის წინაშე ლეგენდარული ჯგუფ „ქვინის“ რეპერტუარით წარდგნენ.

უკვე მეორედ ზედიზედ შოუს ლიდერი 22.73 პროცენტით გიგი ცირამუა გახდა. პროექტს კი მარიამ კოტრიკაძის შემდეგ კიდევ ერთი კონკურსანტი ლაშა გუჯაბიძე დაემშვიდობა. მან ყველაზე ცოტა ხმა – 9.56 პროცენტი დააგროვა.

გამარჯვებისთვის ბრძოლას შოუში ხუთი კონკურსანტი აგრძელებს: გიგი ცირამუა, თათული ჩიხლაძე, მანანიკო ცენტერაძე, ლიზა კალანდაძე და ლუკა გოგიბერიძე.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

სპორტი

# საჩხერის ჩიხურა საქართველოს თასის მფლობელია

**ჩიხურა-ტორპედო 0:0 (4:3პ)**

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

მე-20 წუთზე გიორგი კუხიანიძემ პენალტი ვერ გამოიყენა (ხარიხა)

**ჩიხურა:** ჰამზიჩი, მირცხულავა, ფონიავა (ლექვთაძე 72), გაბედავა, სარდალიშვილი (ცხადაძე 97), კორიფაძე, გორგიაშვილი, ჩიკვაიძე, კაკუბავა, დობროვოლსკი (განუგრავა 113), ტატანაშვილი

**ტორპედო:** კვასხვაძე, ტაბატაძე, კუხიანიძე, ხურცილავა, ფალავანდიშვილი, გურული, კორობკა (კვირკვია 82), კუტალია, დოლიძე (ბერიაშვილი 113), ქიმაძე, გიგაური (ბაბუნაშვილი 118)

საჩხერის ჩიხურასა და ქუთაისის ტორპედოს დაპირისპირება გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. მომენტები ორივე კართან შეიქმნა, თუმცა გადამწყვეტ მომენტში ფეხბურთელები არაზუსტად მოქმედებდნენ და მატჩის ძირითადი დრო გატანილი გოლების გარეშე 0:0 დასრულდა. გუნდებმა გოლის გატანა ვერც დამატებით დროში მოახერხეს და გამარჯვებულის გამოსავლენად პენალტების სერია დაინიშნა. 11-მეტრიანები უკეთ საჩხერელებმა შეასრულეს, მეტოქე ანგარიშით 4:3 დაამარცხეს და







არსებობის განმავლობაში პირველად დაეუფლნენ საქართველოს თასს. აღსანიშნავია, რომ თასის გათამაშების წლევანდელ სეზონში ჩიხურას გოლი არ გაუშვია, მეტოქეთა კარში კი, იმერლებმა 17 გოლი გაიტანეს.

თამაშის მიმდინარეობისას, ორივე გუნდს ჰქონდა გოლის გატანის რამდენიმე შანსი. ყველაზე რეალური ტორპედოს – მე-20 წუთზე უკრაინელი შემტევი კორობკა დინო ჰამზიჩმა საკუთარ საჯარიმოში წააქცია, პენალტი გიორგი კუხიანიძემ დაარტყა, ბურთი ხარიხას მოხვდა და მოედნის ფარგლები დატოვა. აღსანიშნავია, რომ ტორპედოს ნახევარმცველმა კარიერაში 24-ე პენალტი დაარტყა და პირველად ვერ გაიტანა.

კუხიანიძისა და ჰამზიჩის დაპირისპირება კიდევ ერთხელ პენალტების სერიაში ვიხილეთ, გადამწყვეტი დარტყმა კუხიანიძემ შეასრულა, ბოსნიელმა კარის დარაჯმა დარტყმის მიმართულება გამოიცნო და ბურთი მოიგერია, ჩიხურამ თასი მოიგო, არასტაბილური სეზონის მიუხედავად, ფინალში ჰამზიჩი გმირად იქცა, კუხიანიძე კი – ანტიგმირად.

ფინალური მატჩის დასრულების შემდეგ დაჯილდოების საზეიმო ცერემონია გაიმართა. შეხვედრის გუნდებს და მსაჯთა ბრიგადას კუთვნილი ჯილდოები საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ლევან კობიაშვილმა, ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა, დავით მუჯირმა და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა, ტარიელ ხეჩიკაშვილმა გადასცეს. მატჩის საუკეთესო მოთამაშედ ჩიხურას ბოსნიელი მეკარე დინო ჰამზიჩი დასახელდა.

**სოსო ფრუიძე:**

– პირველ ყოვლისა, ტორპედოს საქართველოს ჩემპიონობას ვულოცავ. რაც შეეხება მატჩს, ვფიქრობ





ქუთაისელთა ძალების დიდი ნაწილი დინამოსთან თამაშმა წაიღო და ამან ჩხეტიანის ბიჭების ასპარეზობას კვალი დაატყო. აქამდე ორჯერ ვიყავით ფინალში გასულები და სამწუხაროდ, ორჯერვე დავმარცხდით, ამიტომაც, ხარისხზე არ ვიყავით ორიენტირებულნი – ჩვენთვის მთავარი მოგება იყო.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

სამართალი

# პოლიციამ ბათუმში თურქეთის 2 მოქალაქე დააკავა ნარკოდანაშაულისთვის



შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, თურქეთის რესპუბლიკის ორი მოქალაქე – 1991 წელს დაბადებული ა.ქ. ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ბრალდებით, ხოლო 1988 წელს დაბადებული ჰ.ბ. ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, ბათუმში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულების პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, ჰეროინის შემცველი 17, 012 გრამი ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ა.ქ. ნარკოტიკულ საშუალებას სისტემატურად ყიდდა. პოლიციამ მის მიერ გაყიდული 7 აბი „სუბოქსინი“ და ჰეროინის შემცველი 3,9447 გრ ნარკოტიკული საშუალება ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის 1-ელი და მე-4 ნაწილებით).

# კროსვორდი





**თარაზულად:** 5. ერთგვარი ნაყინი; 6. გეოდეზიური კუთხმზომი ხელსაწყო; 9. ნაღვლიანი მუსიკალური წყობა; 10. „მაიტა ...! (ფილმი); 11. მახინჯი ქონდრისკაცი დასავლეთევროპულ მითოლოგიაში; 13. დროშა; 15. ქოჩრიანი თუთიყუში; 18. ლუთერანული ეკლესია; 21. მცირე პლანეტებიდან ერთ-ერთი; 22. ახალი ქვის ხანა; 23. უკრაინული სიმებიანი საკრავი.

**შვეულად:** 1. სამკურნალო დაწესებულება; 2. დესპოტი მმართველი; 3. რაიმეს მომწყობი, ორგანიზატორი; 4. გეომეტრიული სხეული; 7. ძვირფასბეწვიანი მღრღნელი ცხოველი; 8. მამა-შვილი კინორეჟისორების გვარი; 12. მკვრივი აგური, სისველეს რომ არ იწოვს; 14. კბილის ექიმი; 16. ურანის თანამგზავრი; 17. სახურავი მასალა 19. სასწორის თეფში; 20. გუმანი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

## პროგრამა

**ოთხშაბათი 4 დეკემბერი**

**07.30** "ნამდვილი დრო" **08.00** ანიმაცია. "მოგზაური დორა" **09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** "მოამბე" **09.15, 04.25** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **10.00, 02.35** "პირადი ექიმი" **11.00** დოკ/ფ "თოფ-გიარი" **12.15** "სპორტის დაფა" **12.40** "კვირის ინტერვიუ"- ირაკლი აბსანძე **13.25, 22.15** ტ/სერ. "**სახელმწიფო მდივანი**" **14.30** დოკ/ფ "ავტოდახმარება" **15.30, 06.20** დოკ/ფ "ძველი საბერძნეთის საგანძური" **16.30, 05.20** ტ/სერ. "**ველვეტი**" **18.30** დოკ/ფ "გონების თამაშები" **19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **20.00, 03.35** ტ/სერ. "**ელემენტარული**" **21.30** "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" **23.15** მხ/ფ "**მწარე სიმართლე**" (ჯ.ბატლერი) **00.50** მხ/ფ "**ორი ლულა**" (დ.ვაშინგტონი)

**06.30, 16.00** სერ. "**ტყუილი**" **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00,** ქრონიკა **10.10, 14.40** სერ. "**ელიფი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. "**ქალაქის გული**" **18.50, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**დედა**" **22.00** ნიჭიერი **00.30** მხ/ფ "**შიმშილის თამაშები**" **03.00** მხ/ფ "**მარადიორები**" **05.00** მხ/ფ "**მტრის ზურგში**"

**06.00, 18.50** სერ. "**მეორე შანსი**" **07.00, 20.03** სერ. "**დედამთილი**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ფერიჰას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**მზიანი დღეები**" **16.55** სერ. "**მორჩილების სავანე**" **22.00** ჩემი სამზარეულოს წესები **23.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **00.00, 01.00** მხ/ფ **01.30** კურიერის დაიჯესტი **02.00** მხ/ფ

**tv პირველი** **7.55** ან/ფ **8.00** საქმიანი დილა **11.00** ქალების ნარატივი **12.00** სერ. "**რამონზე შეყვარებული**" **13.00, 17.00, 22.00** საინფორმაციო გამოშვება - NEWS **13.40** უცხოეთის ამბები **14.00, 16.00** დიანა ტრაპაიძის დღის ამბები **15.00, 22.30** საქმის კურსი **17.50, 0.00, 2.00,** მხ/ფ **20.00** ხალხის პოლიტიკა **23.00** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **23.30** ღალატი

**GDS** **08.00** ან/ფ "ატომი" **09.00** სერ. "**ცისფერი სისხლი 6**" **11.00** მხ/ფ "**დედამთილი მონსტრია**" **13.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება 2**" **17.00** სერ. "**სამხედროების ცოლები 5**" **19.00** სერ. "**ცისფერი სისხლი 6**" **21.00** სერ. "**ლურჯის ელფერი 2**" **22.00** მხ/ფ "**მოგზაურობა 2: იდუმალი კუნძული**" **00.00** მხ/ფ "**დროის მანქანა**" **01.45** მხ/ფ "**ბლეიდი**" **03.50** მხ/ფ "**ბლეიდი 2**" **05.50** მხ/ფ "**ბლეიდი 3**"

**იბერია** **08.00** ანანდა **08.10** მულტფილმი **08.20** მულტ/სერ. "დინოფროზი" **09.00** სერ. "**ბანდოლერა**" **10.40, 11.40, 12.40, 20.55, 22.55** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00, 23.40, 04.40** ახალი ამბები **12.00, 2.00** ბიზნესკოდი **14.30** ექიმის საათი **15.00, 01.30** მოდი გავეყაროთ **16.00, 2.40** ფაბრიკა **18.30** სერ. "**ყველაფერი ცხოველების შესახებ**" **19.55** მე რომ ვიყო **20.00** თოქ შოუ "ცენზურის გარეშე " **21.00** სერ. "**გაქცეულები**" **22.00** სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" **23.00** პანორამა **00.00** მხ/ფ "**ლომის გული**" **3.40** ცენზურის გარეშე

**06.15** ივერიის ეკლესია "საქართველოს ეკლესიის სამწყსო" **06.30** პატერიკი-"ღვთიური სიმდაბლით მოსილი მამა ეპიფანე" **06.35** ქართული ალბომი **07.10** ჩვენი საგანძური **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** დ/ფ "ველური ბუნება-წყლისგან გადარჩენილები" **08.55** შვიდგზის ლოცვა **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.25** ქვიშანი დარჩებიან **10.35** მიწათმოქმედი "ნიადაგი და თესლი" **10.50** დ/ფ "სათავეებთან-სულხან-საბა ორბელიანი" **11.10** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**იავნანა**" **13.40** ან/ფ "ჯუნგლის წიგნი" **15.05** ქართული ან/ფ **15.15** სპექტაკლი "საქართველოს უკანასკნელი დედოფალი" **16.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო-"მეათე მცნება" **16.55** დ/ფ "დედა ღვთისმშობელი" **17.35** საუფლონი "ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება-ყოვლადწმინდა კიდობანი" **18.00** ისტორიის დღიური **18.10** გზა, რომლითაც ვიარე "პატარიძეები" **18.35** ძველი აღთქმის განმარტება **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** ღვენი საგანძური "ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელნაწერი უბის წიგნაკები" **19.20** კარაბადინი "ლეიკემია" **20.00** საქართველო ევროპულ ოჯახში-"კონფლიქტური ზონები საქართველოში" **20.40** ძილი ნებისა "ტომი და ჯერი" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.20** საუფლონი "ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება" **21.30** საეკლესიო აღმშენებლობა "სამთავისის საკათედრო ტაძარი" **22.15** დ/ფ "უცნობი ისტორიები-მიხა ხელაშვილი" **22.40** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები "იერემია" I ნაწ. **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** აქტუალური თემა "აბორტი" **23.40** ღვთის სახლი "წარჩე" **00.00** საეკლესიო კალენდარი **00.30** საუბრები სტუდიაში **01.30** კონცერტი

**მაესტრო** **10.00 - 23.00** მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.30 - 3.00** ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**4 დეკემბრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.7085 |
| ევრო | 3.2256 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.6557 |
| 100 რუსული რუბლი | 4.6188 |

## ამინდის პროგნოზი 4 დეკემბრისთვის





## 30 ნოემბრიდან




ჯემალ ჩახავა
**ქურდები და არიფები**

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

## 28 ნოემბრიდან

გურამ ყორანაშვილის
**ავკარგიანობა გიორგი სააკაძისა**




ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი


## იუმორი

მიხოსთან სიდედრის გარდაცვალების მისასამძიმრებლად მისული ნათესავი მიხოს ეკითხება:

– მიხო, რა მოუვიდა საცოდავს? როგორი ჯანმრთელი ქალი იყო!

– სოკო ჭამა და...

– კი მაგრამ, უბედურს თვალი რატომ აქვს ჩალურჯებული?

– არ ჭამდა ეგ შობელძაღლი.

•••

ერთმანეთის მოპირდაპირედ მდებარე ერთი საგიჟეთის პაციენტები მეორის პაციენტებს ეტრაბახებიან:

– ჩვენ აქ ფეხბურთის სათამაშო მოედანი გაგვიკეთეს და ყოველ დღე ფეხბურთს ვთამაშობთ, უფროსმა გვითხრა, თუ ჭკვიანად იქნებით, ბურთს მოგცემთო.

– ეგ რა არის, – პასუხობენ მეორე საგიჟეთიდან, – ჩვენ აქ საცურაო აუზი გაგვიკეთეს და ყოველ დღე აუზში თავით ვხტებით. ექიმებმა გვითხრეს, თუ ჭკვიანად იქნებით, წყალს ჩაგისხამთო...

•••

გურული დილით ადრე ყანაში მიმავალ, მხარზე თოხგადებულ მეზობელს გასძახებს:

– სა მიხვალ?

– ყანაში.

– ასე ადრე?

– დაკეტილი დამხვდება, თუ...

•••

კაცი ექიმს ეკითხება:

– ექიმო, ყველა სოკოს ჭამა შეიძლება?

– შეიძლება, მაგრამ ზოგიერთი მათგანის მხოლოდ ერთხელ!

•••

ღმერთმა ყველა ადამიანი ერთმანეთისგან განსხვავებული შექმნა, მაგრამ როდესაც ჩინელების ჯერი დადგა, უკვე გადაღლილი იყო და დაეზარა...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## 23 ნოემბრიდან

ლაშა იმედაშვილი
**სამი მკვლელობა ძველ თბილისში**
**პატრიარქის ზარფხული**

ქართული დეტექტივი
ტომი 13

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი




## 21 ნოემბრიდან

შიო გვეტაძე
**მონანიება**
ქართული დეტექტივი
მე-14 ტომი




ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

